შუშანა ფუტკარაძე

სტამბოლის ქართული სავანე

თბილისი 2012

სერიის მთავარი რედაქტორი რობინ მეტრეველი

სერიის სარედაქციო კოლეგია: გუგა კუდავა
გონდო კუპატაძე
გოჩა საითიძე
ჯაგა სამუშია
თემო ჯოჯუა

ISSN 1512-4479
ISBN 978-9941-421-61-7

© შუშანა ფუტკარაძე, 2012.
© გამომცემლობა „არტანუჯი", 2012.

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება საზღვარგარეთ არსებულ ქართული კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერას – სტამბოლის ქართულ სავანეს. ავტორს დიდი რუდუნებით აქვს შესწავლილი სავანის ისტორია, კარგად იცნობს მის დღევანდელ მდგომარეობას. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ამ სავანის შესწავლის საქმეში თურქეთ-საქართველოს კულტურისა და განათლების ფონდის მიერ გაწეულ ღვაწლზე. წიგნი ძირითადად ეძღვნება გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, ცნობილ ქველმოქმედს, სიმონ ზაზაძეს, როგორც სტამბოლის ქართული სავანის დიდ ქომაგს; წარმოჩენილია ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევა-შენახვის საქმეში სტამბოლელი ზაზაძეების ოჯახის დამსახურება.

ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ სტამბოლის ქართულ სავანეში შემონახული საგანძური (ეკლესია-მონასტერი, მდიდარი ბიბლიოთეკა და ძვირფასი არქივი, საინტერესო სამუზეუმო ექსპონატები) შეგვინახა თურქმა ხალხმა, თურქეთის რესპუბლიკამ, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, საგულისხმო და დასაფასებელია, სიმბოლოა თურქი და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კეთილმეზობლური ურთიერთობისა, ქართული კულტურული მემკვიდრეობის მიმართ გამოჩენილი გულისხმიერი, ფაქიზი დამოკიდებულებისა.

წიგნის სარედაქციო ჯგუფი: ნესტან ბაგაური
ზურაბ გატიაშვილი (დარუჯანაშვილი)
გიორგი კალანდია
გუგა კუდავა
როინ მალაყმაძე

* * *

ჩვენი სახელოვანი წინაპრები უხსოვარი დროიდან ისწრაფოდნენ ქართველი ერის კულტურისა და განათლების მიღწევების ქვეყნის გარეთ გასატანად, ცდილობდნენ სამყაროს მოწინავე ხალხებისათვის გაეცნოთ ჩვენი ერის მონაპოვარი, შორს გაეთქვათ საქართველოს სახელი.

წინარეისტორიულ ხანაში ამ მიმართულებით ნაღვაწი თითქმის დავიწყებას მიეცა, ჩვენს თვალსაწიერს მიეფარა. საქართველოს ისტორიის მეხსიერება წვდება მხოლოდ ქართული ქრისტიანული კულტურის სათავეებს. ყოველი ჩვენთაგანისათვის რაოდენ საამაყოა იმის შეგნება, რომ მსოფლიო ცივილიზაციის შენებაში თხუთმეტი საუკუნის მანძილზე მოკრძალებული წვლილი შეჰქონდათ ქართველი ერის სახელოვან შვილებს. ბევრის ჩამოთვლა არცაა საჭირო, მარტოოდენ პეტრე იბერის, რუსთაველისა და გიორგი მთაწმინდელის ღვაწლიც იკმარებს საამისოდ.

ღვთისა და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ჩვენი დიდი წინაპრები შინ და გარეთ არ იშურებდნენ ძალასა და სახსარს მამულის სამსახურში, მიდიოდნენ შორს მამულიშვილური საქმიანობის საწარმოებლად, განათლების მისაღებად. მაშინ უცხოეთში წასული განათლებული ქართველები სახლდებოდნენ ხოლმე მსოფლიო ცივილიზაციის ოაზისებში მხოლოდ იმისთვის, რომ იქ ქართული კულტურისა და განათლების კერები შეექმნათ, ქართული ეკლესია-მონასტრები დაეფუძნებინათ, უცხო ქვეყნებისა და ხალხების კულტურისა და განათლების მიღწევები ქართველი ერის სამსახურში ჩაეყენებინათ. ასეთი საქმიანობით ხდებოდა სხვადასხვა ხალხის სულიერ ფასეულობათა გაცვლა-გამოცვლა. ამ მხრივ ფასდაუდებელია ათონის ივირონის, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის, სინასა და შავი მთის, პეტრინონის – ქართული კულტურისა და განათლების ამ უმნიშვნელოვანესი ტაძრების ღვაწლი.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შესასწავლია საზღვარგარეთ არსებული რამდენიმე მსგავსი კერის ისტორია. მათ შორის აღსანიშნავია ქალაქ ბეირუთთან ახლოს მდებარე ლიბანის მთის ქრისტიანული კერები. აქ ერთ-ერთ მონასტერში 1945 წლიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქართველი კათოლიკე მღვდელი შალვა ვარდიძე. სიცოცხლის ბოლო წლები მან აქ დაჰყო. იგი იყო ბეირუთის ფრანგული უნივერსიტეტის პროფესორი. ფლობდა ბევრ ენას, მათ შორის, არაბულსაც. ახლახან აღმოჩნდა სტამბოლის ქართულ კათოლიკურ სავანეში დაცული მის მიერ არაბულ ენაზე დაწერილი წიგნი „დიდი საქართველოს პატრონი", რომელიც ეძღვნება დავით აღმაშენებელს. შალვა ვარდიძის ამ წიგნით არაბული სამყარო გაეცნო საქართველოს „ოქროს ხანას". ვინ იცის, ლიბანის მთაზე შალვა ვარდიძესთან დაკავშირებული კიდევ რამდენი მასალა ინახება. შალვა ვარდიძე ჩვენ წინაშე წარმოჩნდა, როგორც შესანიშნავი მკვლევარი. სწორედ მისი ნაშრომებით ვეცნობით ლიბანის მთაზე ქართველ მამათა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის კვალს.

ასევე, აღსანიშნავია იზმირში არსებული ქართული მონასტრის საქმიანობაც. ცნობილი ქართველი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის ცნობით, 1849 წლისათვის აქ მოღვაწეობდნენ სასულიერო პირები, მათ შორის იყვნენ აჭარიდან გადახვეწილნიც. ერთი მათგანი მონასტრის წინამძღვარიც კი გახლდათ XIX საუკუნის პირველ მეოთხედში, 1822 წელს ქრისტიანობისთვის წამებით რომ აღესრულა და 2002 წლის 17 ნოემბერს წმინდანად შეირაცხა საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით. ეს ბრძანდება წმიდა თეოდორე აჭარელი. ამავე ტაძარში მოღვაწეობდა წმიდანის ძმისშვილი – მამა ნეოფიტე, რომელიც შეხვდა პლატონ იოსელიანს და მოუთხრო თავისი ბიძის წამებით აღსრულების შესახებ. ნეოფიტე განათლებული პიროვნება, მწერალი ყოფილა. მონასტერს მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია. დღემდე შეუსწავლელია ქართული კულტურის ამ კერის ისტორიაც. საგულისხმოა და აღსანიშნავია ისიც, რომ ლიბანის მთისა და იზმირის ქართული სავანის შესახებ ცნობებს ინახავს მხოლოდ სტამბოლის ქართული სავანე, მისი მდიდარი არქივი.

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით, აგრეთვე, გამოირჩეოდა XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში მამა პეტრე

ხარისჭირაშვილის მიერ სამხრეთ საფრანგეთში, ქალაქ მონთობანში დაარსებული ეკლესია-მონასტერი სტამბით, ბიბლიოთეკითა და საღვთისმეტველო-ფილოსოფიური პროფილის სემინარიით. დასანანი და თანაც გასაკვირია ის, რომ ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ეროვნული მთავრობის თითქმის თვალწინ, პარიზიდან არცთუ ისე შორს, მონთობანში, ეს ცენტრი უკვალოდ გაქრა, დაიკარგა XX საუკუნის პირველ ნახევარში. დღეს ქალაქ მონთობანის არქივშიც კი ვერ პოულობენ მკვლევრები ქართული კულტურის ამ ცენტრის არსებობის დამადასტურებელ ცნობებს. საკვლევი ობიექტის მისამართი შემორჩა მხოლოდ სტამბოლის ქართულ სავანეში მონთობანიდან გამოგზავნილ საფოსტო ბარათებს.

მეტად დასანანია, სამწუხაროა ის გარემოება, რომ ქართველმა ხალხმა საუკუნეთა განმავლობაში ჩვენი წინაპრების მიერ საზღვარგარეთ ნაშენები ქართული კულტურის თითქმის ყველა კერა დაკარგა; გაიბნა, უმთავრესად განადგურდა ამ ტაძრებში შექმნილი ხელნაწერი წიგნების დიდი ნაწილი; ქართველებს ჩამოერთვათ ათონის ივირონი, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი; თითქმის წაიშალა ანტიოქიის ქართული კერების კვალი; ამასთანავე, ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერების ერთი ნაწილი დღესაც ელოდება ქართველ მკვლევარს.

საიმედოდ დაცული და შენახულია მხოლოდ სტამბოლში არსებული ქართული კულტურის კერა. აქაური სავანის (ეკლესია-მონასტერი, მდიდარი ბიბლიოთეკა და ძვირფასი არქივი, საინტერესო სამუზეუმო ექსპონატები) მოვლა-შენახვის საქმეში ფასდაუდებელია ზაზაძეების ოჯახის, მამა-შვილ პავლე და სიმონ ზაზაძეების ღვაწლი.

* * *

სტამბოლი (ძვ. კონსტატინოპოლი) – ევროპისა და აზიის შემაკავშირებელი ხიდი, კაცობრიობის კულტურის და განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა, ძველი დროიდანვე იზიდავდა ქართველებს. საუკუნეთა განმავლობაში საქართველოში სწორედ ამ გზით შემოდიოდა ევროპული ცივილიზაცია. ამ ქალაქში ქართული კულტურის კვალი ადრეული საუკუნეებიდანვეა საგულვებელი, თუმცა წერილობითი წყაროები ჯერჯერობით მხოლოდ IX საუკუნიდან მოგვეპოვება. ეს ცნობები დაცულია ძველ ქართულ, ბერძნულ, ლათინურ, ფრანგულ, ებრაულ, არაბულ წყაროებში. აქ წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ დიდი ქართველი ფილოსოფოსები, მთარგმნელები, გამოჩენილი სასულიერი პირები. მათ შორის აღსანიშნავია წმიდანები – ილარიონ ქართველი და გიორგი მთაწმინდელი. სტამბოლში ჩვიდმეტი თვე ცხოვრობდა დიდი მამულიშვილი სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც ეძიებდა გზებს საქართველოს გადასარჩენად. სტამბოლში, გალათას უბანში, 1626 წლის შემოდგომაზე თავისი ამალით დასახლდა დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. სტამბოლის შვიდკოშკიანი ციხე დღესაც აღძრავს ხოლმე მწარე მოგონებებს შავბნელი წარსულის შესახებ და არ გვავიწყებს სვიმონ მეფის (1556-1599) ტრაგიკული სიცოცხლის დასასრულს. სტამბოლში შექმნა მნიშვნელოვანი შრომა სვიმონ მეფის ძმამ დავით XI-მ (დაუთ-ხანმა) – „იადიგარ-დაუდი" – სამკურნალო წიგნი. მან 1578 წელს სტამბოლს შეაფარა თავი და იქვე გარდაიცვალა.

ძველ კონსტანტინოპოლში, შემდეგ კი სტამბოლში, საქართველოს ულამაზესი ასულები არაერთხელ ყოფილან დედოფლები ბიზანტიისა და ოსმალეთის სამეფო კარზე. მათგან აღსანიშანავია მარიამ (მართა) ბაგრატიონი – დავით აღმაშენებლის მამიდა (დაახლ. 1050-1105 წწ.). იგი აქტიურად მონაწილეობდა

ბიზანტიის საიმპერატორო კარის ცხოვრებაში, იყო ძალიან განათლებული და ქველმოქმედი პიროვნება, მფარველობდა ქართულ მონასტრებს ბიზანტიაში. მან გადასახადებისაგან გაათავისუფლა ათონის ივერთა მონასტერი და შესწირა მას ადგილმამული. გიორგი მთაწმინდელმა XI საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოდან კონსტატინოპოლში სასწავლებლად ჩაიყვანა 80 ობოლი ქართველი. მათ განათლება მიიღეს იმპერატორ კონსტანტინე X დუკას (1059-1067) მფარველობით. 1071 წლიდან კი მათზე ზრუნავდა დედოფალი მარიამი. მარიამ ბაგრატიონმა დედასთან – ბორენა დედოფალთან ერთად ააშენა კაპათას მონასტერი იერუსალიმში. იგი დაჯილდოებული იყო იშვიათი სილამაზით, რაზედაც მოგვითხრობენ ბიზანტიელი მწერლები და ისტორიკოსები. მარიამ (მართა) ბაგრატიონი ცნობილ მხედარმთავარ გრიგოლ ბაკურიანთან ერთად იღვწოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის გასაძლიერებლად.

მარიამ ბაგრატიონი – გიორგი VIII-ის ქალიშვილი გახლდათ ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორის კონსტანტინე XI-ის საცოლე. ამ ქორწინების მოსამზადებლად და თავისთვის საცოლის შესარჩევად იმპერატორმა თავისი კარისკაცი სფრანძესი გამოგზავნა ტრაპიზონსა და საქართველოში. 1451 წელს სფრანძესი გიორგი VIII-ს ეწვია და იმპერატორის განზრახვა აცნობა. ელჩს პირადად უნახავს გიორგის ასული და სამშობლოში დაბრუნებულს იმპერატორისათვის მასზე დაქორწინება ურჩევია. საქმე უკვე ქორწინებამდე მისულა – კონსტანტინეს საქორწინო ხელშეკრულება გამოუტანებია ელჩისათვის (იხ. გიორგი სფრანძესი. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. VIII. ტექსტები ქართული თარგმანებით გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ. 1970. გვ. 49-88.). აღნიშნული ქორწინება ვერ შედგა – 1453 წლის 29 მაისს ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, იმპერატორი კონსტანტინე ბრძოლაში დაიღუპა. ისტორიოგრაფიაში ოფიციალურად გაზიარებული ვერსიის პარალელურად არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მარიამ ბაგრატიონმა და კონსტანტინე XI-მ იქორწინეს. ქალაქ ორდუში ჩაწერილ ლეგენდებში ეს ქორწინება

მხატვრულ ფერებშია აღწერილი. გარდა ამისა, დეკანოზ პეტრე კონჭოშვილის მიერ ათონზე მოგზაურობისას ჩაწერილი ცნობის მიხედვით, მარიამი არის ბიზანტიის უკანასკნელი დედოფალი, რომელსაც თავისი ქონება თითქმის მთლიანად შეუწირავს ათონის მონასტრებისათვის. ამავე ცნობით, ათონელი ბერ-მონაზვნები მარიამ ბაგრატიონს მოიხსენიებდნენ როგორც „კალი მარიამს“ ანუ „კეთილ მარიამს“ (იხ. პეტრე კონჭოშვილი. მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ. ტფილისი. 1901. გვ. 150).

ბევრი პოეტის შთაგონების წყაროდ ქცეულა ოსმალეთის სამეფო კარის ქართველი დედოფლების სილამაზე და გონიერება. სამაგალითოდ რამდენიმე გავიხსენოთ: სელიმ II-ის (1566-1574) მეუღლე ნურბან დედოფალი მწერალი ქალბატონი გახლდათ, ეროვნებით ქართველი, კაპადოკიელი. მან დაწერა სამასგვერდიანი წიგნი „დიარბექირი“, რომელიც მოგვითხრობდა კაპადოკიასა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე (მოსულში, დიარბექირში) მცხოვრები მართლმადიდებელი ქართველების შესახებ. აღსანიშნავია აგრეთვე აბდულჰამიდ I-ის (1774-1789) მეუღლე ნაქშიდილ-სულთანი, მაჰმუდ მეორის (1808-1839) დედა. ამ უკანასნელს მეუღლეც ქართველი ჰყავდა – ბეზმიალემ ვალიდე-სულთანი (შუშანი თავდგირიძე). ამ დედოფლების კეთილი საქმეების კვალი აქამდე შერჩენია სტამბოლის დღევანდელობას. მარტო ის რად ღირს, რომ დღემდე მუშაობს ბეზმიალემის მიერ დაარსებული საავადმყოფო – „გურება ჰასთაჰანე“ და უსასყიდლოდ ემსახურება ხელმოკლე მოქალაქეებს ამ ქალბატონის საქველმოქმედოდ დატოვებული ფონდის ხარჯებით. სტამბოლში დღესაც მუშაობს მის მიერ დაფუძნებული ანატოლიის ქალთა ლიცეუმი. განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა ბეზმიალემის მიერ აშენებული მეჩეთი დოლმაბაღჩის სასახლესთან ახლოს და გალათას ხიდი. სტამბოლის სხვადასხვა უბანში ბევრგან შეხვდებით აგრეთვე ქართველი დედოფლების მიერ გაკეთებულ შადრევნებს, ხიდებს, თავშესაფრებს.

სტამბოლის ერთ-ერთ უბანში, გალათაში, უძველესი დროიდანვე არსებობდა ქართველთა ახალშენი. 1453 წლიდან ოსმალებ-

მა ამ ადგილს უწოდეს გურჯუ ქაფუ („ქართველთა კარი“) და დღემდე ასეა ცნობილი. გალათაში ქართველებს ჰქონდათ თავიანთი სალოცავი, საყდარი (როგორც აქაურები უწოდებდნენ ხოლმე) – წმ. პეტრეს სახელობის ეკლესია. აქაური ქართველები უმეტესად სამცხე-ჯავახეთიდან გადასახლებული კათოლიკები იყვნენ.

ქართველთა მნიშვნელოვანი სავანე იყო აგრეთვე ძველი კონსტანტინოპოლის გარეუბანში, ხევის იმ ადგილას, რომელსაც ეწოდებოდა სოსთენი. ტაძარს ერქვა ჰრომანა. იგი ააშენა ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი I-მა (867-886) ოლიმპოს მთიდან აქ გადმოყვანილი ქართველი ბერებისთვის. სწორედ მათ მიანდო იმპერატორმა თავისი შვილების – ლეონისა და ალექსანდრეს აღზრდა. იმპერატორის სიტყვები დაცულია ერთ ძველ ქართულ ხელნაწერში: „ლოცვა ჰყავთ ამათთვის, წმინდაო მამანო, და ასწავეთ წიგნი და ენაი თქუენი, რათა იყვნენ ეგე შვილნი ლოცვისა თქვენისანი“ (იხ. ათონის ივერთა მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, თბ., 1901 წ. გვ. 102).

882 წლის 19 ნოემბერს თესალონიკში გარდაიცვალა დიდი სასულიერო მოღვაწე, სასწაულთმოქმედი, წმიდა ილარიონ ქართველი. იგი იქვე არსებულ უძველეს ქართულ მონასტერში დაკრძალეს, მაგრამ იმდენად დიდი იყო მისი ავტორიტეტი, რომ იმპერატორმა ბასილი მაკედონმა ილარიონის ცხედარი კონსტატინოპოლში გადმოასვენა და დაკრძალა ჰრომანას ქართველთა მონასტერში. ამიერიდან ეს მონასტერი, როგორც უძველესი წყაროები მოგვითხრობენ, ზიარეთად და სამკურნალო ადგილად გადაიქცა. წმ. ილარიონ ქართველის საფლავიდან ღვთიური მადღი გადმოდიოდა და კურნავდა ადამიანებს. თესალონიკში წმ. დიმიტრის სახელობის ტაძრის კედელზე დღემდე შემორჩენილია წმიდა ილარიონის ფრესკა. მეჩეთად გადაკეთებულ ტაძარში მუსლიმებსაც კი არ წაუშლიათ წმიდანის ხატი.

სტამბოლში ქართველთა სალოცავი მდგარა აგრეთვე იმ ადგილას, სადაც 1573 წელს ფიალი ფაშის მეჩეთი აიგო. ამაზე მეტყველებს სტამბოლის ერთ-ერთი უძველესი გეგმა (იხ. ევგენი დალეჯიო დალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში,

სტამბოლი, 1921 წ. გვ. 25). გადმოცემის მიხედვით, ფიალი ფაშა წარმოშობით ქართველი ყოფილა. იგი ამ მეჩეთის ეზოშია დაკრძალული.

ეკლესია-მონასტრები, როგორც ცნობილია, ამავდროულად კულტურისა და განათლების კერები იყო. ცხადია, ასეთივე მდგომარეობა იყო კონსტანტინოპოლის ქართულ ეკლესიებშიც. ამიტომაც სტამბოლის ქართველობა ოდითგანვე მოსახლეობის განათლებულ ფენას წარმოადგენდა. კონსტანტინოპოლში ბევრი ქართველი სწავლობდა. მაგალითად, ცნობილ მანგანის აკადემიაში უმაღლესი სასულიერო განათლება და სამეცნიერო ხარისხი მიიღო ბევრმა სახელოვანმა ქართველმა. მათ შორის იყვნენ: იოანე გრძელიძე, ილარიონ თუალელი, საბა თუხარელი, გიორგი მთაწმინდელი, გიორგი ოლთისელი, ბასილი და იოანე ხახულარები და მრავალი სხვა.

XVI საუკუნიდან სტამბოლი, როგორც განათლებისა და კულტურის კერა, ერთნაირად იზიდავდა ქრისტიან და მაჰმადიან ქართველობას. უმაღლესი მუსლიმური სასულიერო განათლების მიღება მხოლოდ ფათიჰის ცნობილ მეჩეთთან არსებულ უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში შეიძლებოდა. აქ ბევრი მაჰმადიანი ქართველი სწავლობდა ყურანის ფილოსოფიას. ბევრმა დაამთავრა აგრეთვე სტამბოლის უნივერსიტეტის იურიდიული და საღვთისმეტყველო ფაკულტეტები, ბევრიც სამხედრო და საზღვაო აკადემიებში დაეუფლა პროფესიულ განათლებას.

ქართველთა რიცხვმა სტამბოლში განსაკუთრებით იმატა 1828-1829 წლებისა და 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომების შემდეგ. ისტორიული ზემო ქართლის (სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, ტაო-კლარჯეთი) მოსახლეობის დიდი ნაწილი, ომის შედეგებით შეწუხებული, ლტოლვილად იქცა, ოსმალეთში იძულებით გაიხიზნა. ისინი უმეტესად მარმარილოს ზღვის ნაპირებში, სტამბოლსა და მის გარეუბნებში დასახლდნენ.

ამ ხანებში მომძლავრდა ქართველთა ახალშენი ნური ოსმანიეს დიდ ბაზართან ახლოს, რომელიც ცნობილია ვეზირხანის სახელით. აქ უმთავრესად ქართველი ვაჭრები ცხოვრობდნენ ოჯახებით. ისინი ქართული ტაძრების მრევლს შეადგენდნენ.

* * *

ივანე ჯავახიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა: „საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა სავანეების კულტურული მნიშვნელობა ფრიად ფასეული იყო. იმ მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განმავლობაში იქ დაუნჯებული ჰქონდა, სხვა მხრივაც გახლდათ მეტად დასაფასებელი. უცხოეთში მყოფი მონასტრების საშუალებით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების ყოველი წარმატებისათვის თვალყური ედევნებინა. ყველაფერი, რაც კი უცხოეთში დაარსებულ ქართველთა სავანეებში ახალი და მნიშვნელოვანი იწერებოდა, ანდა კეთდებოდა, საქართველოს უმალვე სწვდებოდა ხოლმე იქ მომუშავე ქართველი მოღვაწეების – მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვანთა წყალობით."

საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ამგვარი დანიშნულების დაწესებულება გახლდათ ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის სავანე – ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია-მონასტერი, ქართული სტამბითა და მდიდარი ბიბლიოთეკით. ამ სასულიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დამფუძნებელი იყო ახალციხელი მამა პეტრე ხარისჭირაშვილი. მისი თავდაუზოგავი ზრუნვის შედეგად, სტამბოლის ერთ ლამაზ უბანში – ფერიქოიში (ქართ. „ანგელოზთა სოფელი") 1861 წელს აშენდა ეკლესია და დაფუძნდა დედათა და მამათა მონასტრები. 1870 წლისთვის აქ უკვე მუშაობდა ქართული სტამბა, სადაც იბეჭდებოდა ქართული წიგნები, მოგვიანებით – ფრანგულიც.

მამა პეტრეს მიერ ჩამოყალიბებულმა საზოგადოებამ ეკლესია-მონასტერი დააარსა აგრეთვე სტამბოლის მეორე უბანში – უსქუდარში. აქ მათ ჰყავდათ ხუთი სოფლის მრევლი, აქვე ჰქონდათ შემოსავლიანი სახლები. 1881 წელს გახსნეს ქართულ-

ბერძნული სკოლა. უსქუდარის ეკლესია-მონასტრის ბედი 1910 წლიდან უკუღმა დატრიალდა. ეპისკოპოსმა სარდიმ ძალიან შეავიწროვა ქართველი კათოლიკენი, წაართვა მრევლი და მახლობელ უბანში მდებარე ლათინთა ეკლესიას მიაკუთნა, რითაც ფაქტობრივად დახურა ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერი. ამ ამბავს მაშინდელი პრესაც გამოეხმაურა როგორც საქართველოში, ისე სტამბოლსა და ევროპის ბევრ ქვეყანაში. განსაკუთრებით ბევრი წერილი დაიბეჭდა ფრანგულენოვანი გაზეთის – „La Türk"-ის 1911 წლის ივლისის ნომრებში. ამ არასასიამოვნო ამბავს ეხმაურება აგრეთვე ქართული „სახალხო გაზეთიც" (იხ. 29 ივლისი, 1911 წ.). აქ დაბეჭდილი სტატიებიდან ჩანს, რომ მაშინ ქართველი კათოლიკების მფარველი ყოფილა სტამბოლში არსებული საფრანგეთის საელჩო. მართლაც, სტამბოლელი ქართველი კათოლიკენი ფრანგული ტიპიკონით სარგებლობდნენ. სწორედ საფრანგეთის საელჩოს შეუნირავს ქართველი ბერებისთვის უსქუდარში მიწაც და საცხოვრებელი სახლებიც. ამიტომაც კატეგორიულად აცხადებდა ფრანგული გაზეთი „La Türk": ჩვენ შევწირეთ ქართველებს და თუ მათ არ უნდათ, ჩვენ დავიბრუნებთ ადგილსაც და სახლ-კარსაცო. ქართველებსა და იტალიელებს შორის დავა დიდხანს გრძელდებოდა. ამ საქმეს იძიებდნენ ვექილი საბრო-ბეგ შამბაშიძე და ოსმალეთის უმაღლესი საბჭოს წევრი, შარიათის პროფესორი – მუფთი ხასანფეჰმი ირემაძე. მაგრამ, საუბედუროდ, დავის დასრულებამდე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და ასეთი საკითხებისათვის ვისღა ეცალა. ასე წაიშალა ქართული კულტურის კვალი სტამბოლის ერთ უძველეს უბანში – უსქუდარში.

ქართველ მღვდლებს სკოლა და ეკლესია ჰქონდათ აგრეთვე პერას უბანში, პაპასკვეპრში (ფაფაზქოფრუში). ამავე საზოგადოებამ ეკლესია-მონასტერი და ქართული სტამბა დააარსა სამხრეთ საფრანგეთშიც, ქალაქ მონთობანში. დედათა მონასტერი და სკოლა არსებობდა აგრეთვე სტამბოლის ახლოს, დარდანელშიც. მაშინ კათოლიკეთა ორი მისია მუშაობდა კესარიასა და თრაკიაშიც.

ქართული კულტურის კვალი სტამბოლის ბევრ უბანში – გალათაში, სოსთენეში, ვეზირხანში, უსქუდარში, პერაზე, პაპასქვეფრში – დროთა სვლამ წაშალა. დღეგრძელი აღმოჩნდა მხოლოდ ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერი – ქართული საყდარი, ქართველთა სავანე.

ფერიქოის ეკლესია-მონასტერთან გაიხსნა ქართულ-ფრანგული და ქართულ-ბერძნული ქალთა და ვაჟთა სასწავლებლები. ფერიქოის სავანეში 1908 წელს გაიხსნა აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა, სადაც დღემდე დაცულია უნიკალური ქართული და უცხოური გამოცემები, დაბეჭდილი როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის სტამბებში. წლების განმავლობაში ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნიდან აქ იგზავნებოდა ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში დაცულია წიგნები და ჟურნალ-გაზეთები 17 სხვადასხვა ენაზე.

ამ სავანის აღზრდილები არიან ცნობილი მეცნიერები, მწერლები, სახელოვანი ერისკაცები: ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი), მიხეილ თამარაშვილი, მიქელ თარხნიშვილი, შალვა ვარდიძე, ანდრია წინამძღვრიშვილი, სტეფანე გიორგიძე, იოსებ მერაბიშვილი, ელისაბედ ბეჟანიძე, პიო ბალიძე, ბენედიქტე ვარდიძე, ალფონს ხითარიშვილი, პეტრე ტატალაშვილი, აბისინიის (ეთიოპიის) მეფის სასახლის ექიმი პეტრე მერაბიშვილი (დოქტორ მერაბი)... ერთხანს სტამბოლის ვაჟთა გიმნაზიაში სწავლობდა წმიდა მამა გრიგოლ ფერაძე. ამავე გიმნაზიის აღზრდილები იყვნენ ეკლესია-მონასტრის ბოლო მსახური პავლე ადგულაძე (აკობაშვილი) და ეკლესია-მონასტრის თავდაუზოგავი ქომაგი, 1966-1989 წლებში ქართველ კათოლიკეთა საზოგადოების თავმჯდომარე, თურქეთში ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი პავლე ზაზაძე.

საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე (1861-1982 წწ.) სტამბოლის სავანე იმედად ეგულებოდა სამშობლოდან გადახვეწილ, ოსმალეთის მთა-ბარს შეხიზნულ მილიონობით ქართველს. ამ სავანემ მთელი საუკუნის მანძილზე თავდადებით იღვაწა ქართველი მუსლიმების ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის. პეტრე ხარისჭირაშვილის, ალფონს ხითარიშვილის, ანდრია წინამძღვრისშვილის, სტეფანე

გიორგიძის, იოსებ მერაბიშვილის, შალვა ვარდიძის, პიო ბალიძის, პეტრე ტატალაშვილის დიდი მამულიშვილური საქმიანობით სამშობლოდაკარგულ ქართველებში აღორძინდა ეროვნული სული. ამ ტაძარში დღესაც ნაღვერდალივით ღვივის ქართული სულის ნაპერწკალი და ქართველობას აცოცხლებს დედის კალთას დანატრებულ ქართველებში.

აღნიშნულის ნათელსაყოფად მივმართავთ იტალიელი დიპლომატისა და მწერლის ევგენი დალეჯიო დალესიოს მიერ 1920 წელს ფრანგულად დაწერილ ნაშრომს – „ქართველები კონსტანტინეპოლში“, რომელიც ქართულად თარგმნა მღვდელმა შალვა ვარდიძემ და დაიბეჭდა მონასტრის სტამბაში 1921 წელს. იგი სტამბოლის ქართველთა სავანის საქმიანობას შემდეგნაირად გვიხასიათებს: „სტამბოლის სავანე არის არამარტო სასულიერო დაწესებულება, არამედ ამასთან ერთად არის პოლიტიკურიც, რამდენადაც სარწმუნოება და პოლიტიკა ერთიმეორეს შეკავშირებული არიან. ამ სავანის მღვდლები დასაწყისიდან დღემდე არ დაერიდნენ თავიანთი საზოგადოების არსებობის განსაცდელში ჩაგდებას და განმსჭვალულებმა დიდებულ მომავლის რწმენით, საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა... მათ ეს სავანე გარდაქმნეს ეროვნულ კერად... ეს საზოგადოება ცოცხალი პროტესტის ნიშანი იყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ... ამ საზოგადოების მიზანი დღესაც არის ქართველი ხალხის გამოღვიძება-აღორძინება სარწმუნოებრივად, პოლიტიკურად და კულტურულად... ამავე საზოგადოების წყალობით, ვატიკანი და საფრანგეთის მთავრობა მარადის ეცნობოდნენ საქართველოს, ქართველების ისტორიას და თანამედროვე მათ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და რელიგიურ მდგომარეობას.... ამ სავანეში მოსული ქართველი უსათუოდ იგრძნობს მამულის სიყვარულს, მოიგონებს ქართველი ხალხის დიდებულ წარსულს და განიმსჭვალება ნათელი მომავლის იმედით, ქართველთა უკვდავების გრძნობებით“ (ევგენი დალეჯიო დალესიო. ქართველები კონსტანტინეპოლში. ფრანგულიდან თარგმნილი პ. შალვა ვარდიძისა. სტამბოლი. 1921. გვ. 30).

სტამბოლის ქართველთა სავანის დიდ მნიშვნელობაზე მიგვითითებს აგრეთვე ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გივი ზალდასტანიშვილი. 1970 წელს იგი ამერიკიდან სტამბოლში სპეციალურად ჩავიდა და მონასტრის საქმიანობას გაეცნო. ნიუ-იორკში გამომავალ ქართულ გაზეთში „ქართული აზრი" იგი ასე წერდა: „ისტამბოლის მონასტერს – ჩვენი კულტურის სავანეს – საქართველოს მარადიულობისათვის ბრძოლაში დიდი მონაწილეობა მიუღია... თურქეთში ამგვარი ცენტრის არსებობას ჩვენი ერისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და სხვა ცენტრებთან შედარებით, უპირატესობა მიეკუთნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ თურქეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი ქართული წარმოშობისაა" (გაზეთი „ქართული აზრი", ნიუ-იორკი. № 85, 1970 წ.).

სტამბოლის ქართული სავანის ღვაწლზე მოგვითხრობს 1949 წლის 28 აპრილს სავანის წინამძღვრის, მღვდელ პიო ბალიძის მიერ საქართველოს მთავრობისადმი მიწერილი მოხსენებითი ბარათი, სადაც ვკითხულობთ: „იმედს გამოვსთქვამ, რომ თბილისი ჩვენს მდგომარეობაში შევა და ჯეროვან ყურადღებას მოგვაქცევენ. ვართ უცხო ქვეყანაში უპატრონოთ დარჩენილნი. ჩვენ ვართ განწირულნი ერისთვის და სამშობლოსათვის. ნიკოლოზმა სახლის კარი გადაგვირაზა; მენშევიკებმა ბამბით ყურები დაიცვეს; ნუთუ საბჭოთა მთავრობაც დაგვივიწყებს?!... კონსტანტინეპოლის ქართული მონასტერი იყო, არის და იქნება ქართული სულის მატარებელი თავშესაფარი ყოველი ლტოლვილი და გაჭირვებული ქართველისა, მიუხედავათ მისი რწმენისა და პოლიტიკური შეხედულებისა. იგი ფხიზელი დამცველი და დარაჯია ქართული ინტერესებისა. სასურველი იქნება ღირსეულად შეფასდეს მისი ღვაწლი და ეს პატარა საქართველო უცხოეთში დაცული და შენახული იქნეს" (მოხსენებითი ბარათი შენახულია სტამბოლის ქართველთა სავანის არქივში).

მართლაც, სტამბოლის ქართული სავანის სასულიერო საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი მიზანი თავიდანვე იყო ქართველი ხალხის ეროვნული სულისკვეთების აღორძინება, მათი

სარწმუნოებრივი, პოლიტიკური და კულტურული თვითშეგნების გამოფხიზლება. მართლაც, ამ საზოგადოების თითქმის ასწლიანი მოღვაწეობა საუკეთესო ნიშანი იყო თავისუფლებადაკარგული ქართული ეროვნული სულის ძლიერი პროტესტისა, ამ სულის უძლეველობისა.

ეს სავანე XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში გადაიქცა ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა კულტურისა და განათლების ცენტრად, მათი ერთიანობისა და ძმობის ტაძრად, სამშობლოდან გადახვეწილ ქართველთა მშობლიურ კერად. პირველი მსოფლიო ომის დროს სამცხე-ჯავახეთში, აჭარასა და ტაო-კლარჯეთში უმძიმესი პირობები შეიქმნა. მოსახლეობა ლტოლვილად იქცა და დიდმა ნაწილმა თავშესაფრის ძებნა ოსმალეთში დაიწყო. ბევრი მათგანი მიაწყდა სტამბოლის ქართულ სავანეს. მაშინ აქაურმა მღვდელმა იოსებ მერაბიშვილმა საყდარში დააარსა ქართველთა ურთიერთდახმარების საზოგადოება. ამ საქმეში მას ფინანსურად ეხმარებოდა თავისი ძმა – აბისინიის (ეთიოპიის) იმპერატორის მენელიქ მეორის პირადი ექიმი პეტრე მერაბიშვილი (დოქტორ მერაბი). 1894 წელს აშენებული მონასტრის ოთხსართულიანი შენობის მეოთხე სართულზე მათ გახსნეს სასტუმრო, სტამბოლში ჩასული უბინაო, ხელმოკლე ქართველებისათვის. დააარსეს აგრეთვე ქართული წითელი ჯვრის სტამბოლის განყოფილება. ცნობილი ქველმოქმედის მაჰმუდ-ფაშა თავდგირიძის სასახლეში, ქადიქიოში, მოაწყვეს ლტოლვილთა თავშესაფარი. ასეთი ქველმოქმედებით ერთხანს სარგებლობდა სტამბოლში თავშეფარებული ცნობილი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ყაზბეგის ოჯახი. თვით გიორგი ყაზბეგი 1921 წლის გაზაფხულზე სტამბოლში გარდაიცვალა და იქვეა დასაფლავებული.

ამ საყდარს, საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ, ბევრმა ქართველმა ემიგრანტმა შეაფარა თავი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარგარეთ გახიზნულმა მთავრობამ 1921 წლის მარტში სწორედ ამ სავანეში დაიდო ბინა. მამა შალვა ვარდიძე ერთ პატარა ლექსში წერდა:

„ლტოლვილები მომეჯარნენ საზღვარგარეთ უდაბნოში,
შეიკედლე ცრემლოვანმა, ჭირნახულნი ამ ჩემს ქოხში".

თავის დროზე მონასტრის ძმობა დიდი სიხარულით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობას. მონასტერში რამდენიმეჯერ გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი დღესასწაული. მამათა და დედათა მონასტრების წარმომადგენლებმა საქართველოში საგანმანათლებლო საქმიანობის აღორძინების გეგმაც კი შეიმუშავეს. ამ მიზნით 1920 წელს საქართველოში ჩამოვიდა დედათა მონასტრის წინამძღვარი, უგანათლებულესი ქალბატონი ელისაბედ (ანა) ბეჟანიძე, რომელიც ხელმძღვანელობდა დედათა მონასტერს და ამ მონასტერთან არსებულ ქალთა ქართულ-ფრანგულ სკოლას. იგი საქართველოს მთავრობას სთხოვდა ქალაქ ახალციხეში ქალთა სასწავლებლის გამართვის ნებართვას. მაგრამ სანუგეშო ხანა ხანმოკლე აღმოჩნდა... ბოლშევიკებისაგან დევნილმა მთავრობამ, საფრანგეთის პასპორტების მიღების მოლოდინში, დროებითი თავშესაფარი სწორედ მონასტერში ჰპოვა. დამფუძნებელი კრების წევრები აქ სამ თვეზე მეტხანს დარჩნენ. მღვდელი შალვა ვარდიძე იგონებს: „დამარცხებული მენშევიკები მონასტრის კარებს რომ მოადგნენ, სინანულს მიეცნენ და გაიძახოდნენ: „რა დაგვიჯდებოდა, ამ მონასტრისთვის ღირსეული სამსახური რომ გაგვეწიაო."

ბევრი ემიგრანტი გრიგოლ ვეშაპელის მეთაურობით, როგორც ცნობილია, შეურიგდა ბოლშევიკურ მთავრობას და სამშობლოში დაბრუნდა. სწორედ მაშინ მონასტრის ძმობას საქართველოში მომავალი კოწია სულაქველიძისა და პეტრე რუშელისათვის უთხოვია, მთავრობის ყურამდე მიეტანათ მონასტრის გასაჭირი. მაგრამ ამაოდ, ბოლშევიკური საქართველოდან შემზარავი ამბები მოდიოდა მხოლოდ. ციმბირში გადაასახლეს სტამბოლის მონასტერში აღზრდილი მღვდლები – შიო ბათმანაშვილი, კოსტა საფარაშვილი, ემანუელ ვარდიძე, ანდრია აფრიამაშვილი და სხვები. მათ თავისუფალ საქართველოში დაბრუნება სიცოცხლის ფასად დაუჯდათ. სტამბოლის ქართული საყდარი კი ხანდაზმული მღვდლების ამარა დარჩა, თითქმის დაცარიელდა.

მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაუჭირდა მონასტერს. გარდაიცვალნენ მღვდელ-მონაზვნები – ბენედიქტე ვარდიძე, პიო

ბალიძე, შალვა ვარდიძე, პეტრე ტატალაშვილი. 1962 წლისათვის ცოცხალი დარჩა მხოლოდ პავლე აკობაშვილი (ადგულაძე), მონასტრის მსახური. მან სპეციალური მიმართვა გაუგზავნა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში მცხოვრებ თანამემამულეებს, ემიგრანტ ქართველებს და შემწეობა ითხოვა. იგი წერდა: „დავრჩი სულ მარტოდმარტო, ვიბრძვი და ვმუშაობ, რომ იგივე ბედი არ ეწვიოს ამ ჩვენს ეკლესიას, როგორიც წილად ხვდა ჩვენს კულტურის ცენტრებს პალესტინაში, ათონის მთაზე, სინაის მთაზე და სხვაგან... სანამ ცოცხალი ვარ არ ვზოგავ ძალ-ღონეს, რომ ეს განძი, საუნჯე (წიგნსაცავი, მამულები, სახლები...) შერჩეს ჩვენს ერს... ჩემს შემდეგ, არ ვიცი, რა დაემართება. ღმერთმა იცის, ყველაფერი ჩვენ საყვარელ სამშობლოსა და მის შვილებზეა დამოკიდებული. 3 თებერვალი, 1960 წელი.“

პავლე აკობაშვილის მიმართვას გამოეხმაურნენ ამერიკიდან ალექსანდრე მანველიშვილი, მიუნხენიდან – ილია კუჭუხიძე (მინდია ლაშაური), მაგრამ მდგომარეობა არ შეცვლილა. მონასტრის ოთხსართულიანი შენობა დაცარიელდა, მონასტერი დაიხურა. ქართული კულტურის გაციებულ კერას პატრონი, მცველი, მზრუნველი ყველაზე მეტად ამიერიდან სჭირდებოდა.

1966 წელს შეიქმნა ეკლესიასთან არსებული კათოლიკური საზოგადოების ფონდი. ფონდის თავმჯდომარედ აირჩიეს მონასტერთან არსებულ ვაჟთა სასწავლებელში აღზრდილი, ახალციხელი, სოფელ უდედან გადასახლებული ქართველი პავლე ზაზაძე. XX საუკუნის 30-იან წლებიდან მოყოლებული სწორედ ეს პიროვნება გახლდათ ერთგული მზრუნველი და საიმედო პატრონი მონასტრის ხანდაზმული ბერ-მონაზვნებისა. ბევრი მათგანი მისი უახლოესი ნათესავი იყო. 1989 წლამდე პირნათლად ემსახურა იგი ქართული საყდრის მოვლა-პატრონობის საქმეს. ბევრჯერ უმასპინძლა მან როგორც საქართველოდან, ისე ევროპიდან და ამერიკის ქვეყნებიდან სტუმრად ჩასულ ქართველებს, რომლებსაც ჩაჰქონდათ, ანდა მის სახელზე აგზავნიდნენ ლიტერატურას სტამბოლის ქართული ბიბლიოთეკისათვის. პავლე ზაზაძე და მისი შვილი სიმონ ზაზაძე რამდენიმეჯერ მასპინძლობდნენ საქართველოდან სტამბოლში ჩასულ საპატიო სტუმარს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს.

* * *

1911 წელს შალვა ვარდიძის ხელმძღვანელობით მონასტერში დაარსდა ქართული კლუბი, სადაც იმართებოდა შეხვედრები და თავყრილობები. თითო შეხვედრას სულ ცოტა 150 ქართველი მაინც ესწრებოდა ხოლმე. მათ რიცხვში წარმოდგენილი იყო სტამბოლის ქართველი დიდკაცობა: ფაშები, გენერლები, პარლამენტარები, ვექილები, ექიმები, ვაჭრები, სტუდენტები. შეხვედრები იხსნებოდა და მთავრდებოდა ქართული სიმღერებით, საეკლესიო საგალობლებით. კლუბის წევრებმა წესდებაც კი შეიმუშავეს, რომელიც ოსმალეთის მთავრობამ უცვლელად დაამტკიცა.

სტამბოლის სავანეს ხშირად სტუმრობდნენ და ეხმარებოდნენ კიდეც ოსმალეთში მოღვაწე დიდი, სახელოვანი ქართველები: მარშალი შაქირ-ფაშა ერთგულაშვილი (ახალციხელი); რიზა-ფაშა ათაბეგიშვილი, 1909 წლისთვის ოსმალეთის საზღვაო მინისტრი (ართვინელი); ისმაილ ელიაშვილი, მსაჯული ოსმალეთის მთავარ კომიტეტში (ქობულეთელი); ოსმან-ფაშა და ალი-ფაშა თავდგირიძეები; შტაბის გენერალი მაჰმუდ-ფაშა, მედინის გუბერნატორი; ბაჰრი-ფაშა; სენატორი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი ხასან ფეჰმი-ფაშა (მარადიდელი); ხასან-ფეჰმი ირემაძე, ოსმალეთის მთავარი მუფთი, სახელმწიფო საბჭოს წევრი (მთიანი აჭარიდან) და მრავალი სხვა.

თავყრილობებს ესწრებიდნენ საქართველოდან ჩასული სტუმრებიც, მათ შორის: ვახტანგ ღამბაშიძე, იასე რაჭველი (მეხუზლა), მიხეილ და ვლადიმერ წერეთლები, დავით ჩიქოვანი, გერასიმე ნადარეიშვილი, მემედ-ბეგ, ასლან-ბეგ, აბედინ-ბეგ აბაშიძეები, ჰაიდარ-ბეგ ბეჟანიძე, ისკენდერ-ეფენდი ცივაძე, ნური ეფენდი ბერიძე, გიორგი მაჩაბელი, მელიტონ ქარცივაძე, პეტრე სურგულაძე, აკაკი ხოშტარია, ლეო კერესელიძე, ივანე ჯავახიშვილი, პავლე ინგოროყვა, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვები.

XX საუკუნის დასაწყისიდან სტამბოლის ქართულ სავანეში დიდი საშვილიშვილო საქმე იდგამდა გვირგვინს, წუთისოფლის ბორბალი უკუღმა რომ არ დატრიალებულიყო. სახელოვანმა მამულიშვილებმა შეიმუშავეს ოსმალეთში მცხოვრებ მუსლიმან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პროგრამა. 1914 წლისათვის ქართული სკოლის გახსნასაც აპირებდნენ. ამ საქმის ორგანიზატორები იყვნენ ილია ჭავჭავაძე, გიორგი ყაზბეგი, დავით კარიჭაშვილი, სერგეი მესხი, იაკობ გოგებაშვილი, მამა შალვა ვარდიძე, მემედ-ბეგ აბაშიძე და ისკენდერ-ეფენდი ცივაძე. სამწუხაროდ, პირველი მსოფლიო ომი დაიწყო და საქმე ჩაიშალა. მაშინ რომ ბედს გაეღიმა ოსმალელი ქარველებისათვის და ქართული სკოლა დაფუძნებულიყო, ტრადიციად იქცეოდა და ალბათ დღესაც იარსებებდა.

მაშინდელ საგაზეთო და საჟურნალო სტატიებში ხშირად იყო საუბარი აღნიშნულ საკითხზე (იხ. გაზეთი „დროება“, №126, 1909 წ.). ქართულ სავანეში მაშინ დედაენის სპეციალური წიგნიც კი დაიბეჭდა ოსმალეთში მცხოვრები ქართველებისათვის, ასეთი დასახელებით – „პატარა ქართული ანბანი, შედგენილი და გამოცემული ოსმალოს ქართველთათვის, გამოცემა პირველი, სტამბოლი, ქართული საბეჭდავი, ფერიქვევი, 1914 წელი“. ამ წიგნს ახლახან მივაკვლიეთ სტამბოლის ქართველთა სავანის ბიბლიოთეკაში. ბოლო გვერდზე მითითებულია: „ფასი 40 ფარა. ამ წიგნის შემოსავალი გადადებულია უფრო ვრცელი სახელმძღვანელოს გამოსაცემათ“.

ჩვენი ვარაუდით, ასეთი ვრცელი სახელმძღვანელო კიდეც უნდა დაბეჭდილიყო მონასტრის სტამბაში, თუმცა ჯერ ვერ მივაკვლიეთ ამ გამოცემას. ვარაუდის საფუძველს ნაწილობრივ გვაძლევს ემიგრანტი ქართველის – გიორგი კერესელიძის ერთი მოგონება, ჩართული ნაშრომში – „იესო ქრისტე და ქართველი ერი“. იგი იხსენებს ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციის წინა დღეებს, ბერლინში ოსმალეთის დელეგაციის ჩასვლას. დელეგაციის ერთი წევრი ყოფილა ოსმალეთის უმაღლესი სასულიერო პირი – შეიხულ ისლამი, ხასან-ფეჰმი ირემაძე, სტამბოლის ქართული მონასტრის ხშირი სტუმარი და ერთ-ერთი ქომაგი. იგი

შეხვედრია გიორგი მაჩაბელსა და გიორგი კერესელიძეს. მათი საუბარი, პოლიტიკური თემის გარდა, შეხებია ქართული ენის სილამაზეს, ქართული ანბანის დახვენილობას, მის უნიკალურ ბუნებას. ხასან-ფეჰმი ირემაძე მათთან საუბარში იხსენებს თავისი შვილის საწერ მაგიდაზე დანახულ წითელყდიან ქართული ანბანის შესასწავლ წიგნს (იხ. ჟურნ. „ბედი ქართლისა“. პარიზი. №5. 1949 წ., გვ. 11-12). სავარაუდოდ ეს უნდა იყოს მონასტრის სტამბაში დაბეჭდილი „დედაენა“, მეორე გამოცემა.

საუბედუროდ, პირველი მსოფლიო ომის მსახვრალი ხელი სტამბოლის ქართველთა სავანესაც შეეხო. ფრთები შეეკვეცა ოსმალეთის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების იდეებსაც. დაიხურა ქართული სავანის დედათა და მამათა მონასტრებთან არსებული სკოლები, მოსწავლეები გახიზნეს ევროპის ქვეყნებში.

სტამბოლის ქართველთა სავანე თავისი დანიშნულებით, ქართველი ერის წინაშე გაწეული სამსახურით, ბევრად ემსგავსება ადრეულ საუკუნეებში საზღვარგარეთ მოქმედ სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს. ქართველი ერის ისტორიაში მან უკვე ჩაწერა ერთი ლამაზი ფურცელი. საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში იგი ერთგულად ემსახურებოდა არამარტო ქართული კულტურის, ისტორიის, განათლების მიღწევების პოპულარიზაციას საზღვარგარეთ, არამედ თავდაუზოგავად ზრუნავდა სამშობლოდან შორს დარჩენილი შვილების ეროვნული გათვითცნობიერებისათვის, მათში ქართული ცნობიერების აღორძინებისათვის. ამ სავანეს ყოველთვის მაღლა ეჭირა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა. რამდენიმე წლის განმავლობაში აქ მუშაობდა საფრანგეთში მოქმედი „სეგოს“ (საქართველოს ეროვნული განთავისუფლების ორგანოს) სტამბოლის ბიურო, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები, ჯერ – პეტრე სურგულაძე, შემდეგ – სანდრო მენაღარიშვილი.

1913-1914 წლებში მონასტრის სტამბაში იბეჭდებოდა ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“, რომლის სულისჩამდგმელნი იყვნენ მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი, მელიტონ ქარ-

ცივაძე, ლეო კერესელიძე და სხვები. 1914 წელს აქვე ჩაისახა ქართული ლეგიონის შექმნის იდეაც, რომელიც მალე სინამდვილედ იქცა. 1915 წელს დაარსდა თამარ მეფის სახელობის ლეგიონის ორდენი. ცნობილი მხატვარის იაკობ ნიკოლაძის მიერ მონასტერში შესრულდა თამარ მეფის ორდენის ესკიზი, რომელიც დაცულია მონასტრის არქივში. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლები იყვნენ ამ მონასტრის მღვდლები; მათ შორის გამოირჩეოდნენ პიო ბალიძე და შალვა ვარდიძე. ისინი დაჯილდოებულნი იყვნენ თამარ მეფის სახელობის ლეგიონის ორდენით. ქართველი ლეგიონერების სია და 1915-1921 წლებში მათი საქმიანობის ამსახველი მასალები დაცულია მონასტრის არქივში.

ქართველთა სავანეში დაიბეჭდა ცნობილ სტამბოლის კონფერენციაზე წარსადგენი მოკლე სამახსოვრო ცნობა – „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ", კონსტანტინეპოლი, საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა სავანისა, 1918". ცხადია, ამ ბროშურის მომზადებაში ცნობილ მეცნიერებთან – ივანე ჯავახიშვილთან, პავლე ინგოროყვასთან, ექვთიმე თაყაიშვილთან, მიხაკო წერეთელთან... ერთად, მონაწილეობდნენ სავანის სასულიერო პირებიც, განსაკუთრებით მღვდელი შალვა ვარდიძე, ნიჭიერი ისტორიკოსი და დიდი პატრიოტი.

სტამბოლის ქართველთა სავანე თავის საქმიანობას ყოველთვის წარმართავდა თურქ და ქართველ ხალხს შორის მეგობრობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის საფუძველზე. ამიტომ ამ ცენტრს ყოველთვის დიდი პატივისცემითა და მზრუნველობით ეპყრობოდნენ, ჯერ ოსმალეთის, შემდეგ კი თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოები. ამის შესახებ ხშირად წერდა მაშინდელი პრესა. განსაკუთრებით ბევრი სტატია დაიბეჭდა გაზეთებში – „La Türk", „Istambul", „Orient", „დროება", „სახალხო გაზეთი."

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედისა და XX საუკუნის დასაწყისის პრესის მასალებიდან ცნობილია, რომ ოსმალეთის მთავრობა და სტამბოლში არსებული საფრანგეთის საელჩო დიდად ეხ-

მარებოდა ქართველ კათოლიკებს. ისინი დროდადრო ეცნობოდნენ ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტრების საქმიანობას. საფრანგეთის საელჩოს მონასტრის შენობის ასაშენებლად 300 ოქროც კი გაუღია.

იმპერატორი აბდულ-ჰამიდი, რომელსაც ბებია (შუშანი თავდგირიძე – ბეზმიალემ ვალიდე სულთანი) ქართველი ჰყავდა, პატივისცემის გრძნობით იყო განწყობილი ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა მონასტრების სკოლების მიმართ. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“ 1906 წელს წერდა: „ოსმალეთის მთავრობას მიჩნეული ჰყავს ეს პატარა ქართველების შკოლა. ყოველ წლივ, რამაზანის მეთხუთმეტე დღეს, როდესაც წელიწადში ერთხელ სულთან ჰამიდი აია სოფიის ჯამეში წავა, ამ შკოლის მუზიკა ილდიზის (სახელმწიფო სასახლის) სარაიას ახლოს დაუხვდება ხოლმე. ხელმწიფე ყოველწლივ თვითვე მადლობას გადაუხდის ხოლმე თამანის ართმევით და მეორე დღეს შკოლაში შამბელანის ხელით საჩუქარს გაუგზავნის ხოლმე მოწაფეებს, მოიკითხავს მასწავლებლებს“ (იხ. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“. №18. 1906 წ. გვ. 6).

ამავე ჟურნალში მოთხრობილია 1893 წელს მომხდარი ერთი შემთხვევის შესახებ: სულთან აბდულ-ჰამიდის შესახვედრად გამოსულ ფერიქოის სკოლის მუსიკოს ბავშვებს უბედურება შემთხვევიათ. მეფის ადიუტანტის ცხენი დამფრთხალა და ბავშვები გადაუქელავს. ამ ამბის შემხედვარე ხონთქარი ძალიან შეწუხებულა. მეორე დღეს სპეციალური ბრძანება გამოუცია, რომლის თანახმად, ყველა დაზარალებული მოსწავლის სწავლის საფასურის გადახდა მთავრობისთვის დაუვალებია. ერთ 13 წლის ბავშვს იმ დღეს ფეხი მოსტეხია. ბავშვი დაკოჭლებულა. ხონთქარს იგი სასახლეში დაუბარებია და კოჭლობის მიუხედავად, იქვე კარისკაცად დაუყენებია, პენსია და მედლები მიუცია.

სკოლის ზედამხედველის – ისმაილ ფაშას დახმარებით ხონთქარი გასცნობია ამ სკოლის საქმიანობას. მაღალი შეფასება მიუცია სკოლის მოღვაწეობისათვის. სკოლის დირექტორი – მღვდელი ანდრია წინამძღვრიშვილი 150 ოქროთი და მეოთხე ხარისხის ჯვრის ორდენით დაუსაჩუქრებია. ასეთივე ორდენი საჩუქარდ მიუღია დირექტორის თანაშემწეს, მღვდელ იოსებ

მერაბიშვილსაც. წმიდა იოსების სახელობის სკოლის მოსწავლეები კი სულთანს დაუპატიჟებია ქალიდჰანეს მინდვრებზე სასეირნოდ. ბუნების წიაღში, მწვანე მინდორზე სადილი გაუმართავთ ამ სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის.

ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“ მოგვითხრობს: ნასადილევს გაიმართა ყრილობა. ყრილობის დაწყების წინ ოსმალეთის ჰიმნი დაუკრეს მოსწავლეებმა. პირველი სიტყვა ფრანგულ ენაზე წარმოსთქვა მღვდელმა სტეფანე გიორგიძემ. მან მადლობა მოახსენა სულთანს ყველა ეროვნების ხალხისთვის სწავლა-განათლების უფლების მინიჭების გამო, შეაქო ხონთქარი დაზარალებულების მიმართ გამოჩენილი უხვი გულმოწყალებისათვის. სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე მღვდელმა ანდრია ნინამძღვრიშვილმა. მან ისაუბრა სკოლის პროგრამის შესახებ და მადლობა მოახსენა ხონთქარს სხვადასხვა რელიგიის მიმართ გამოჩენილი შემწყნარებლობისა და მფარველობისათვის. ბოლოს მოსწავლეებმა ხონთქრის სადიდებლად მრავალჟამიერი დააგუგუნეს ქართულად. ამ დროს მღვდელი სტეფანე გიორგიძე ცრემლებს ვერ მალავდა. ხელმწიფის მოწყალება აღასრულა სკოლების ზედამხედველმა ისმაილ ფაშამ და დამსწრენი დაასაჩუქრა. ქართველი ბერმონაზვნები განსაკუთრებით დაასაჩუქრეს სწავლა-განათლების საქმეში გამოჩენილი თავდადებული შრომის გამო. ხონთქარმა სკოლა გაათავისუფლა სახელმწიფო გადასახადებისაგან.

ყრილობა დამთავრდა ხელმწიფის დასალოცი მუსიკით. სტამბოლის გაზეთები ერთი კვირის განმავლობაში მხოლოდ ამაზე წერდნენ. ევროპული გაზეთებიც კი გამოეხმაურნენ ამ თემას. გაზეთი „Istambul“-ი კი აღნიშნავდა, ასეთი პატივი აქამდე ჯერ არც ერთ უცხო გვარის სკოლას არ ღირსებიაო (იხ. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა.“ 1906. №18. გვ. 25).

მონასტერთან არსებული ქართულ-ფრანგული და ქართულ-ბერძნული ვაჟთა და ქალთა სკოლების მოსწავლეები ხშირად აწყობდნენ საღამო-წარმოდგენებს თურქულ, ქართულ და ფრანგულ ენებზე. საღამოები ეძღვნებოდა რელიგიურ დღესასწაულებს, გამოჩენილ პირთა საიუბილეო თარიღებს. ყოველწლიურად 14 იანვარს იმართებოდა (ამჟამადაც იმართება ხოლმე)

ნინოობის დღესასწაული. 1908 წლის 26 აპრილს დიდი ზეიმით გადაიხადეს პოეტ აკაკი წერეთლის იუბილე. საღამოებს ბევრი მაყურებელი ჰყავდა და საჩუქრებიც ბევრი შემოდიოდა. მაგალითად, 1894 წლის 8 მაისს გამართულ საღამოზე შემოსულა 40 ოქროზე მეტი, რომელიც გამოუყენებიათ მონასტრის ოთხსართულიანი სახლის მშენებლობაზე.

ამ საღამოებისა და საერთოდ, ქართული კათოლიკური სავანის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობენ მაშინდელი ჟურნალ-გაზეთები: „დროება“, „სახალხო გაზეთი“, „ივერია“, „ჯვარი ვაზისა“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „ერი“, „იმერეთი“, „კოლხიდა“, „თემი“, „საქართველო“, „ერთობა“ და სხვ. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე კი ამ თემას აშუქებდა ქართული ემიგრანტული პერიოდიკა: „თეთრი გიორგი“, „დამოუკიდებელი საქართველო“, „თავისუფალი საქართველო“, „ქართული აზრი“, „ბედი ქართლისა“, „მამული“, „კავკასიონი“... ამ გამოცემების ეგზემპლარები დღემდეა შენახული მონასტრის ბიბლიოთეკაში.

სტამბოლელ ქართველთა სავანემ, დედასამშობლოსაგან დაშორებულმა, სწორედ სასიკეთო, კეთილმეზობლური საქმიანობით მოახერხა გაეძლო დროის ქარტეხილებისათვის. მისი, როგორც ქართული კულტურის კერის, ასე ლამაზად შენახვა და დღემდე მოტანა არის ორი ხალხის – თურქებისა და ქართველების – კარისმეზობლობის შესანიშნავი მაგალითი, სიმბოლო იმისა, თუ როგორი შეიძლება იყოს მოსაზღვრე ქვეყნების მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება.

* * *

დღეს შემოგვრჩენია მხოლოდ „ნაშთი ძველი დიდებისა". თურქეთის რესპუბლიკის ხელისუფლების ნებითა და სტამბოლელი ზაზაძეების გულისხმიერებით, სტამბოლის ერთ ლამაზ უბანში – ფერიქოიში („ანგელოზთა სოფელში") დღესაც ამაყად მხრებგაშლილი დგას მამა პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ აშენებული თეთრი ტაძარი. თუმცა ქართული ლოცვა-გალობის მოსმენა დიდი ხანია ენატრება იქაურობას, ტაძრის დამფუძნებლის ობოლ საფლავს, ეკლესიის იატაკის შუაგულში რომაა მოთავსებული. ქართველი მღდველი ორმოცდაათ წელზე მეტია (1962 წლიდან) აღარ ღირსებია ამ ეკლესიას. დღეს სხვა ერის წარმომადგენელი მღვდელმთავრები აღასრულებენ ღვთისმსახურებას ამ ლამაზ სავანეში. საყდარში კი დღემდეა შემონახული წმ. მარიამ ღვთისმშობლის ხატის ქართული წარწერა: – „მარიამ ღვთისმშობელო, ივერიის მოციქულო, მეოხ მეყავნ, ჩვენ, ცოდვილთა ქართველთა".

მონასტრის სარკმლებგამოღამებული ოთხსართულიანი შენობა შველას სთხოვს მნახველს. უძვირფასესი ნიგნებითა და სამუზეუმო ექსპონატებით სავსე ოთახები ორმოც წელზე მეტია ელოდება კარის გამღებს, ჭეშმარიტ პატრონს დედასამშობლოდან... გალავანშემოვლებული სავანის დიდ ბაღში დღესაც ხარობს ოდესღაც სამცხე-ჯავახეთიდან ჩატანილი ხეხილი. დღევანდელი სტამბოლის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში დღემდე შემონახულ, სათუთად ნაპატრონებ „საქართველოს პატარა კუნძულს" (ივანე ჯავახიშვილი) ქართველი მლოცველი ენატრება.

აქვე აღსანიშნავია ერთი საგულისხმო რამ, რომელიც, ვიმედოვნებთ, გამოსწორდება მომავალში, როცა სტამბოლის მონასტრის შენობაში გაიხსნება თურქეთ-საქართველოს კულტურისა და განათლების ცენტრი: ქუჩას, სადაც 1861 წლიდან დღემდე დგას ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერი, იმთავითვე

ერქვა „გურჯუ სოქაქ" – „ქართველთა ქუჩა". მონასტრის არქივში შემონახულ საფოსტო ბარათებზე მისამართი 1960 წლამდე სწორედ ასეა აღნიშნული. დღეს კი ამ ქუჩას „ქაზიმ ორბაის პროსპექტი" (ჯადე) ჰქვია. იქნებ ამ პროსპექტის პატარა მონაკვეთმა მაინც დაიბრუნოს ძველი სახელწოდება.

სტამბოლის ქართულ სავანეში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, მაისის თვე ღვთისმშობლის ხსენების თვედ არის გამოცხადებული. ამ თვეში ყოველდღიურად, დილით და საღამოს, სრულდება სადღესასწაულო ნირვა-ლოცვები, 31 მაისს კი დიდი დღესასწაული იმართება. ეკლესია და ეზო მლოცველებს ვერ იტევს. მრევლს მტკიცედ სწამს, რომ თუ მთელი თვის მანძილზე ეკლესიაში ივლის; მთელი არსებით, გულითადად აღავლენს ლოცვებს, უფალი შეისმენს მათ თხოვნა-ვედრებას. ეს ტაძარი სასწაულმოქმედ ადგილად არის მიჩნეული, ბევრ მთხოვნელს ასრულებია ხოლმე სურვილი და ღვთის წყალობით გახარებულა. ამიტომაც ამ სალოცავში სხვა სარწმუნოების წარმომადგენლებიც მოდიან ხოლმე. იგი ყველასათვის ქცეულა უძვირფასეს ზიარეთად – სალოცავ ადგილად.

ტაძრის მარჯვენა კედელს ამშვენებს ქართველი მხატვრის (ჩვენი ვარაუდით, იაკობ ნიკოლაძის) ფუნჯით შესრულებული წმიდა ნინოს მოზრდილი ფერწერული ხატი. მეტად შთამბეჭდავია წმიდანის თვალთაგან მომდინარე შუქი, საოცარი სითბოთი გაჯერებული სინათლე. გულდასაწყვეტია, რომ დღემდე ეკლესიაში არ მოიპოვება ამ წმიდანის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის ამსახველი ლიტერატურა (სხვა უცხოელი წმიდანების შესახებ კი ბევრი წიგნი ეძლევა მრევლს პერიოდულად უფასოდ). მართალია, ნინოობის დღესასწაული ყოველწლიურად 14 იანვარს აღინიშნება, მაგრამ დღევანდელმა მრევლმა თითქმის არაფერი იცის მისი დიდი ღვაწლის შესახებ. საჭიროდ მიგვაჩნია, წმიდა ნინოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ლიტერატურა დაიბეჭდოს სამ ენაზე – ქართულად, ფრანგულად და თურქულად, რათა ამ დღესასწაულზე მოსული მრევლი გათვითცნობიერდეს, გაეცნოს იმ ხალხის განმანათლებელს, რომელი ერის სახელოვანმა წინაპრებმაც ააშენეს ეს სალოცავი. წმიდა ნინოს

ცხოვრების ამსახველი წიგნი უთუოდ შეუწყობს ხელს ქართული კულტურის, საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციის საქმეს თურქეთის რესპუბლიკაში, სადაც მილიონობით ეთნიკური ქართველი ცხოვრობს. წმიდა ნინოს ცხოვრება ფრანგულ ენაზე ბროშურის სახით დღესაც დაცულია მონასტრის ბიბლიოთეკაში. მისი ავტორია ცნობილი ისტორიკოსი მიქელ თარხნიშვილი.

მონასტრის არქივში დაცულ ხელნაწერებს შორის საყურადღებოა წმიდა მარიამ ღვთისმშობლის საგალობლები. ისინი შექმნილია მონასტერში მოღვაწე მღვდელ-მონაზონთა მიერ. მხატვრულობით გამოირჩევა სტეფანე გიორგიძის, ანდრია წინამძღვრიშვილისა და შალვა ვარდიძის მიერ შეთხზული საგალობლები. ერთი მნიშვნელოვანი საგალობელი კი ახალციხიდანაა ჩატანილი. ეს საგალობელი XIX საუკუნის ბოლოს ქ. ახალციხეში 95 წლის სფირიდონ ხმალაძისგან ჩაუწერია ახალციხელ ანდრია გრილაძეს. იგი მალე საცხოვრებლად გადასახლებულა სტამბოლში. გრილაძეების ოჯახი სტამბოლელ ქართველთა შორის გამორჩეული იყო ეროვნული სულისკვეთებით. მათ დიდხანს მოუხერხებიათ ქართული გვარის შენარჩუნება. სფირიდონ ხმალაძეს ანდრია გრილაძისთვის უთქვამს: „ოსმალობის დროსაო ამ ლექსს ვხმარობდით ლოცვასავითაო, წარმოვსთქვამდით საერო სიმღერების ხმაზედაო; თავყრილობებზედ, ქორწილებშიდაც ვგალობდით, რადგან მართლმადიდებლებს საეკლესიო ლოცვების ცხადლივ წარმოთქმა გვეკრძალებოდაო. ამ საგალობელს ყველა მესხი-ქრისტიანიცა და მუსულმანიც მხურვალე გულით ერთად ვგალობდით და ეს საგალობელი – დედა მარიამის სიყვარული – გვაერთიანებდაო... ეს საგალობელი ჩვენი წინაპრებიდამ მოდის, 200-250 წლისა მაინც იქნებაო."

მღვდელ შალვა ვარდიძეს ეს საგალობელი გადაუწერია ანდრია გრილაძისაგან და შეუნახავს მონასტრის არქივში. მკითხველს ვთავაზობთ წმიდა მარიამ ღვთისმშობლის საგალობლის სრულ ტექსტს, რომელიც ინახება სტამბოლის ქართულ სავანეში:

„ამოსული ხარ ყვავილად, წმიდაო ყოვლის სოფლისა,
ბაღჩა ხარ აყვავებული, მოსაწონარი უფლისა...
გაბრიელის ხარებითა მოგეევლინა ძალი ღვთისა,
იესო ქრისტეს დედა ხარ, ქალი ზეციურ მამისა.

ემანუელ შენგნით იშვა, მიზეზი ჩვენი დახსნისა,
ვარდი ხარ აყვავებული, მოსანონარი უფლისა...
ზიხარ მუდამ შენს ძესთანა, მეოხე ცოდვილებისა,
ჰასრათი ვარ მე ცოდვილი, მუდამ შენი წყალობისა,
თვალი შენი ჩვენზედ იყოს, შიში არა გვქონდეს მტრისა,
ისიმ ძუძუ დაილოცოს, რომ აწუა ქრისტეს პირსა...
კურთხეული ხარ, მარიამ, დედოფალი ხარ ზეცისა,
ლამაზი ხარ, მშვენიერი, საკვირველო სამოთხისა.
მარიამ მიმადლებულო, სიტყვა გაქვს ანგელოზისა,
ნეტარი ხარ, მარიამ, მუდამ ყოვლისა გვარისა,
დედუფალი ხარ დედაო, იმედო ჩვენი ხვალისა...
ისმინე ვედრება ჩვენი, ქალწულო ჩვენი გულისა...
მწარე ცრემლები იხილე სამშობლო დაკარგულისა...
ორნი გზანი მიგვაჩნია, ნუ გვარგუნებ მწარე დღესა...
ბილწსა ეშმაკსა ნუ მიგვცემ, შეგვაევედრე მაცხოვარსა,
ჩვენაც გულით ვიგალობებთ დიდი დედის სახსოვარსა...
ჟამი ისიმ დაილოცვის, რომ შეიქმენ დედა ღვთისა,
მოგვეც ძალი და შეწევნა ქართულ ენით ლექსის თქმისა...
რასა ღირს ვარ, რომ შენ გაქო, თუკი შენ არ მომცემ შნოსა,
შენი მადლით ამ ზამთარმა, ვერ მოგვკლას, ვერ
დაგვაზროსა...
სანთელი ხარ ანთებული, გამნათებელი ბნელისა,
ტურფა რამე ფრინველი ხარ, მიმგზავსებული მტრედისა...
უშენოდ არ შემიძლია ხილვა წმიდა სამოთხისა,
ბაღჩა ხარ აყვავებული, ელვარება ზურმუხთ ქვისა...
ქვეყნისა ანგელოზი ხარ, ვარსკვლავი ხარ ცისკარისა...
ღრუბელი ხარ უმძიმარი, წვიმა შვიდი მაისისა,
სილამაზე ხარ მზიანი აისის და დაისისა...
ისმინე ჩემი ვედრება, ერთგულ უფლისა მონისა,
სინათლის სხივი გვაჩუქე, ისმინე ქვეყნის გლოვისა...
ცამ, ქვეყანამ გაიხარა, იესოს ქრისტეს შობისა,
ძე ღვთისა ქვეყნად მობრძანდა, დახსნად ადამის ტომისა
დილ-დილით ლოცვებს გავევედრებთ მესხეთის ფეხზე
დგომისა,

მოგვეც ძალა და შეწევნა სურვილი ერთად ყოფნისა...
მიეც სინათლე, დედაო, მიწას გულგაუყოფელსა,
წყალობის კალთა გვაფინე, მშვიდობა მიეც სოფელსა,
დედის წყალობა სინათლეს დაჩაგრულ გულებს მოჰფენსა...
მარიამ, ტკბილო დედაო, სხივო ღვთიურ ნათელისა,
შენა ხარ ჩვენი ნუგეში მუსლიმანი ქართველისაც,
მესხეთის გულის ყვავილო, ტაოსი და კლარჯეთისაც,
თვალის ჩინი ხარ დედაო, ფოცხოვის და ჩილდირისაც...
სილამაზე ხარ უჭკნობი ცისკრისა და ჩვილ დილისა.
უფლის დედა ხარ ნეტარი, ვინ არი შენი სადარი,
მარიამ, ჩვენი დედაც ხარ, მშობელი დედის ბადალი,
ჩვენი გალობაც ისმინე, მხურვალე ლოცვის სადარი...
სამოთხის ია შენა ხარ, არვინ არი შენი მსგავსი,
გულიდამ შემოგვაძარცვე ცოდვისა და ბოლმის ხავსი...
ხე ცხოვრებისა იწოდე, ხანი გაქვს უკვდავებისა,
მადლობას გწირავთ გულისა, შენზედ გალობა გველირსა...
მხურვალე გული მოგვეცი, მხურვალეც ვიყოთ ლოცვისა,
გვაღირსე დიდო დედაო, მადლი მეორედ მოსვლისა,
შენს სადიდებლად მოგვეცი, ნიჭი ჭეშმარიტ მგოსნისა...
ჰასრათობა ამისრულე, ქალწულო ჩვენი გულისა,
ისმინე ჩვენი ვედრება სამშობლო დაკარგულისა!
დედის უბეში გვამყოფე, ხელი გვაშორე მტერისა...
ისმინე, დიდო დედაო, ვედრება ჩვენი ერისა...
გვამყოფე გამგრძელებელი მამა-პაპათა წესისა,
ჰოი, რა ტკბილი დედა ხარ, შენი დიდება გველირსა.“

სტამბოლის ქართული სავანე ას წელზე მეტი ხნის მანძილზე მართლაც იყო ქრისტიანი და მუსლიმი ქართველების ძმობის კერა, მათი ერთიანობის საყდარი, ეროვნული სულისკვეთების სამჭედლო. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ ერთად ნარმოუთქვამთ ეს საგალობელი ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს და სამშობლოს სიყვარულით გაუთბიათ მონასტრის ცივი კედლები.

* * *

დაობლებული კერის აღორძინება, მისი მოვლა-პატრონობა, ზაზაძეების ოჯახთან ერთად, უმთავრეს მიზნად დაისახა თურქეთ-საქართველოს კულტურისა და განათლების ფონდმა. ეს არასამთავრობო საზოგადოება სტამბოლში ჩამოყალიბდა 2000 წლის ზაფხულში. ფონდის წევრები არიან ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, ბიზნესმენები, ექიმები, იურისტები, განათლებისა და კულტურის მუშაკები. მათი უმრავლესობა ისტორიული ფესვებით დაკავშირებულია საქართველოსთან. წინაპართა საფლავები, მამა-პაპათა ბალავრები, ნაფუძარები თუ ნამოსახლარები ამ თანამემამულეთა გულებს საქართველოსკენ ეწევა, საქართველოს ჭირისუფლობას ავალებს. ფონდის მესვეურები სწორედ ამიტომაც ესწრაფვიან, ეს ორი კარის მეზობელი ხალხი კიდევ უფრო მეტად დაახლოვონ ერთმანეთთან. ეს კი, ფონდის პრეზიდიუმის აზრით, უპირველესად უნდა განხორციელდეს ერთმანეთის კულტურის მიღწევათა გაცნობა-გაცვლის, ერთმანეთის ისტორიის უკეთ შესწავლა-დაფასების საშუალებით. რამდენიმე წლის განმავლობაში ფონდის პრეზიდენტი გახლდათ ნიჰათ გოქიითი (გოგიტიძე) – ცნობილი ბიზნესმენი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს საპატიო მოქალაქე. ამჟამად ფონდის პრეზიდენტია საამი სეჩქინი – ყოფილი გუბერნატორი, თურქეთში ცნობილი პიროვნება. ფონდის ვიცე-პრეზიდენტები არიან: ცნობილი ბიზნესმენი, დიდი საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი ისმეთ აჯარი (ვაჭარიძე) და საქართველოს საპატიო მოქალაქე, თბილისის, ქუთაისის, ახალციხის, ბათუმის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი სიმონ ზაზაძე. ფონდის წევრები არინ საქართველოს საპატიო მოქალაქეები, ცნობილი ადამიანები: რეფაეთინ შაჰინი (ლორთქიფანიძე), ერგუნ ათაბაი (ქოქოლაძე), ალიხსან ახისხალოღლუ (გოჩიტიძე), ცნობილი კარდიოქირურგი ისმეთ

დინდარი (მიქელაძე) – ბათუმის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, საქართველოს საპატიო მოქალაქე, ბევრი ქართველის „გულის მესაიდუმლე“, სიცოცხლის გამგრძელებელი... ფონდის გენერალური მდივანია მეცნიერთა ართვინელი (გოგლიძე), მეტად გულისხმიერი, საქმის ერთგული და კეთილშობილი პიროვნება. ამ ფონდის აქტიური წევრია ახალგაზრდა ბიზნესმენი, საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობისთვის დაუღალავი მოღვაწე, ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი პავლე ზაზაძე, დიდი ბაბუის სეხნია და სტამბოლელი ზაზაძეების ქართული ოჯახის დიდებული ტრადიციების გამგრძელებელი.

ჩამოყალიბებიდან დღემდე ამ ფონდმა საკმაოდ იღვაწა დასახული მიზნების განხორციელებისათვის. ფონდის ფინანსური დახმარებით დაიწყო სტამბოლის სავანის ბიბლიოთეკის შესწავლა. ფონდის მიწვევით, სიმონ ზაზაძის გულისხმიერი მასპინძლობით, 28 თვის მანძილზე სამ-ოთხ წევრიანი საექსპედიციო ჯგუფი სწავლობდა აღნიშნულ წიგნთსაცავს პროფესორ შუშანა ფუტკარაძის ხელმძღვანელობით. დამუშავდა და დახარისხდა ჩვიდმეტ ენაზე შესრულებული ბროშურა, წიგნი, ჟურნალი, გაზეთი (სულ 83 ათასი ერთეული). ამ მასალის დიდი ნაწილი საქართველოს ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება. აქ დაცული წიგნების გამოცემის თარიღი 1523 წლიდან იწყება. აქვეა შენახული ძველი ხელნაწერები, ფოტომასალა, 1858-1982 წლების კერძო და ოფიციალური ხასიათის მიმოწერის ბარათები, საინტერესო საარქივო წყაროები. ისინი ბევრ სინტერესო ამბავს მოგვითხრობენ ჩვენი სახელოვანი წინაპრების ცხოვრებისა და შემოქმედების დღემდე უცნობ ეპიზოდებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია აკაკი წერეთლის, დიმიტრი ყიფიანის, სერგეი მესხის, დავით კარიჭაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ზაქარია ფალიაშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, ივანე ჯავახიშვილის, აკაკი ხოშტარიას, პეტრე სურგულაძის, გიორგი მაჩაბლის, მელიტონ ქარცივაძის, გიორგი ყაზბეგის, გრიგოლ ფერაძის, შალვა ვარდიძის, მიხეილ თამარაშვილის, მიხეილ თარხნიშვილის, ნინო და კალისტრატე სალიების, ახმედ მელაშვილის და სხვათა წერ-

ილები. სავანეში შემონახული საარქივი მასალა მეტად ფასეულია თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის უახლესი ისტორიის დღემდე ნაკლებად ცნობილი მომენტების წარმოსაჩენად. აქვეა დაცული 1885, 1909, 1914, 1919 წლებში ათონის ქართული მონასტრების ბერ-მონაზონთა მიერ სტამბოლში ჩამოტანილი ქართულ-ბერძნულ ენებზე შესრულებული დოკუმენტები, მათი მოხსენებითი ბარათები.

თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდის მოწინავე წევრების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები საქართველოს დღევანდელობისათვის, ჩვენი ახალგაზრდობისათვის, საუკეთესო გაკვეთილებად გამოდგება. მათი ბიოგრაფიებით ვრწმუნდებით, რომ სამშობლოს სიყვარულით, თავდადებული შრომით, მიზანდასახული მოქმედებით, საქმის ერთგულებით შეიძლება ცხოვრების ლაბირინთების დაძლევა, ნუთისოფლის კიბეზე აღმასვლა, დასახული მიზნების მიღწევა. ყოველი მათგანის ცხოვრების გზა, ცხოვრების წესი, სამშობლოს სიყვარულის, სახელმწიფოს ძლიერებისათვის ზრუნვის მისაბაძი მაგალითია. აღნიშნული პიროვნებები არა მარტო თავიანთი ქვეყნის – თურქეთის რესპუბლიკის, არამედ საქართველოს ჭეშმარიტი ჭირისუფლები, ერთგული გულშემატკივრები არიან, ცდილობენ მხარში დაუდგნენ ჩვენს ხალხს, დახმარების ხელი გამოუწოდონ, რაც მრავალჯერ დადასტურდა. ეს კარგად გამოიხატა მინისძვრით დაზარალებული თბილისელების მიმართ გამოჩენილი ყურადღებითაც. ბატონ მევლუთ ართვინლის (გოგლიძის) – თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდის გენერალური დირექტორის წინამძღოლობით, იმ მძიმე დღეებში ფონდის პრეზიდიუმმა სტამბოლიდან თბილისში გამოგზავნა საკმაო რაოდენობის სურსათი და ფულადი დახმარება.

ვფიქრობთ, კარგი იქნება ჩვენს მკითხველს გავაცნოთ თურქეთ-საქართველოს კულტურისა და განათლების ფონდში გაერთიანებული რამდენიმე სახელოვანი ქართველის ბიოგრაფია. ამჯერად ვისაუბრებთ სტამბოლელი ზაზაძეების ოჯახის ორი წარმომადგენლის – მამა-შვილ პავლე და სიმონ ზაზაძეების შესახებ.

* * *

ჟამთა სვლას, ისტორიულ ქარტეხილებს, წუთისოფლის ბრუნვას, ბევრი ქართველი სამშობლოს უბეს, მშობლიურ კალთას მოუცილებია, მამა-პაპათა ბუდიდან ამოუფრენია, სხვა ქვეყნის სანახებში შეუტყორცნია. მაგრამ მშობელ მიწაში ჩარჩენილი ფესვების მიზიდულობა იმდენად ძლიერია, რომ მშობლიური ბუდიდან ამოფრენილთა მესამე-მეოთხე-მეხუთე თაობასაც კი ძალუმად ენევა თავისკენ და ისტორიული სამშობლოს მონატრების გრძნობას არ უკარგავს, მამა-პაპათა ბუდეზე ხშირად დააფიქრებს ხოლმე, საქართველოს ჭირისუფლად აქცევს.

უცხოეთში მოღვაწე ერთ-ერთი ასეთი ქართველი გახლავთ ბატონი სიმონ პავლეს ძე ზაზაძე, სტამბოლის მკვიდრი თურქეთელი ქართველი, საქართველოს საპატიო მოქალაქე, თბილისის, ქუთაისის, ახალციხისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, პროფესორი.

სიმონ ზაზაძე დაიბადა 1933 წელს, სტამბოლში, ცნობილი ბიზნესმენის ოჯახში. სიმონის მამა – პავლე ზაზაძე, ადიგენის რაიონის (მაშინდელი ახალციხის მაზრა) სოფელ უდეს მკვიდრი, 1913 წელს, 14-15 წლის ასაკში, ოქტომბრის თვეში სტამბოლში ჩამოიყვანა არლელმა მღვდელმა შალვა ვარდიძემ, რომელიც დედის მხრიდან მისი ბიძა გახლდათ.

პავლე ზაზაძეს სწავლა უნდა გაეგრძელებინა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერთან არსებულ ვაჟთა სასულიერო სასწავლებელში. მაგრამ მალე პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, სტამბოლში ცხოვრება აირია, სკოლები დაიხურა. ბევრი მოწაფე გერმანიასა და პოლონეთში გახიზნეს. პავლე ზაზაძეს სტამბოლში მაშინ ბევრი ნათესავი ჰყავდა. მისი ბიძა – შალვა ვარდიძე სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტრის მღვდელი იყო. მათი რჩევით, პავლე ზაზაძე სტამბოლში დარჩა, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე – საქართველოსთან ახლოს, სამშობლოში დაბრუნების იმედით.

პავლე ზაზაძე უდელი აზნაურის სიმონ ზაზაძის ვაჟი გახლდათ. დედა – ელისაბედ ვარდიძე სოფელ არალიდან უდეში იყო გამოთხოვილი. მშობლებს რვა ვაჟი შეეძინათ, სამი მათგანი პატარაობაში დაეღუპათ, ხუთი კი გაზარდეს – სტეფანე, ლევანი, ალიოზი, კაკულა და პავლე. დედ-მამამ პავლე სტამბოლში გაგზავნა სასწავლებლად იმ იმედით, რომ განათლებული დაუბრუნდებოდა სამშობლოს. მაგრამ წუთისოფლის ბორბალი სხვაგვარად დატრიალდა: პავლე ზაზაძეს სამშობლოში დაბრუნება აღარ ეღირსა. ჯერ მსოფლიო ომი, არეულობა და ხელმოკლეობა წამოეწია, შემდეგ ოსმალეთის სახელწიფოს დაცემით გამონვეული შავი დღეები გამოიარა. ყოველივე ამას დაერთო საქართველოს უბედურება – ბოლშევიკების შემოსვლა, რეპრესიები, საზღვრების ჩარაზვა. ბოლოს საქართველოდან წერილებიც შეწყდა.

იმ მძიმე დღეებში ერთი ლამაზი ჟამი დაუდგა პავლეს, მზის გამონათებას რომ ადარებდა: საქართველოდან მალულად ორი ძმა – ლევანი და ალიოზი ესტუმრა, დედის ცრემლებით დანამული ბარათებით, ახალციხური თბილი წინდებით და ათასგვარი საჩუქრებით. სამშობლოსკენ ეწეოდა დედის გული, მაგრამ პავლეს მაშინ ახლად წამოჩიტული საქმეები ჰქონდა, ვერ მიატოვა, ძმები გულდაწყვეტილი გაუშვა დედასთან გვარიანი საჩუქრებით. თუმცა ამაოდ – პავლეს ძმები საზღვარზე დააკავეს საბჭოთა ჯარისკაცებმა, მალულად მიმავალნი. შემდეგ ძმები დახვრიტეს, ხოლო ოჯახზე მკაცი რესპრესიები განხორციელდა.

სტამბოლის სკოლის დახურვის შემდეგ პავლემ საქმე იშოვა. ორი წელინადი ნათესავთან იმუშავა, ვაჭრობა ისწავლა, ფულს მოუყარა თავი. მალე სავაჭრო ადგილი შეიძინა, დუქანი გახსნა, ვაჭრობა დაიწყო. თანდათან ხელი მოემართა, დაწინაურდა, სტამბოლში ცნობილი პიროვნება გახდა.

სტამბოლში, ფერიქოის უბანში არსებულ ქართველთა სავანეში, მაშინ ორი მონასტერი მოქმედებდა – მამათა და დედათა. აქ მოღვანე მღვდელ-მონაზვნები ერთმანეთის უახლოესი ნათესავები იყვნენ. დედათა მონასტრის უფროსი გახლდათ ანა (ელისაბედ) ბეჟანიძე, წარმოშობით ბათუმიდან. იგი ხელმძღვან-

ელობდა დედათა მონასტერთან არსებულ ქართულ-ფრანგულ ქალთა სასულიერო სასწავლებელს, გიმნაზიას. ანა (ელისაბედ) ბეჟანიძეს ადაბაზარში ჰყავდა და, სიძე და დისშვილები. სიძე ჩილინგარიშვილი იყო, ახალციხიდან გადმოსახლებული კათოლიკე. ჩილინგარიშვილებისა და ბეჟანიძეების – ამ ორი ძლიერი გვარის ბალავარზე აღმოცენებული ოჯახი შეძლებულად ცხოვრობდა. მაგრამ მაშინ საკუთრების დაცვა არ იყო ადვილი. ერთ ღამეს ყაჩაღები დაესხნენ თავს და ანა ბეჟანიძის სიძე და და დახოცეს. ბავშვები ობლად დარჩნენ. ობლების აღზრდა ანა (ელისაბედ) ბეჟანიძემ ითავა; ადაბაზარიდან დედათა მონასტერში მოიყვანა ობოლი დისშვილები – მარი (მარიამ) და ალექსანდრე ჩილინგარიშვილები. ანა ბეჟანიძის უფროსი და ქუთაისში იოსებ ოცხელის – ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის – ძმას ჰყოლია ცოლად. ერთი დაც ანასთან ერთად მონასტერში იყო მონაზვნად.

ობოლი ბავშვები ანა (ელისაბედ) ბეჟანიძემ მონასტერთან არსებულ სკოლაში მოიყვანა და თავის დასთან ერთად ითავა მათი აღზრდა. ვაჟი – ალექსანდრე, ვაჟთა სასწავლებელში, ხოლო მარი (მარიამი) ქალთა სასწავლებელში მიაბარეს. პავლე ზაზაძეც სწორედ მონასტრის სკოლაში სწავლობდა. ამან შეაძლებინა პავლე ზაზაძეს გაცნობოდა ბეჟანიძეებისა და ჩილინგარიშვილების დიდებული ოჯახების პირმშოს მარი (მარიამ) ჩილინგარიშვილს (დედით ბეჟანიძეს) და მასზე ექორწინა. მათ ქალ-ვაჟი შეეძინათ. ვაჟს პავლემ მამის სახელი – სიმონი დაარქვა, ქალიშვილს – ანიტა.

პავლე ზაზაძე, მართალია, სასულიერო ცხოვრებას აღარ გაჰყოლია, მაგრამ ძალიან ახლოს იყო სტამბოლის ქართველთა სავანესთან, დედათა და მამათა მონასტრების მესვეურებთან. ისინი, ჯერ ერთი, მისი ახლობლები, ნათესავები იყვნენ და თანაც, სტამბოლის ქართველთა სავანეში ქართული სული სუფევდა, ეს ტაძარი საქართველოს აგონებდა.

დროთა განმავლობაში მონასტრის მესვეურები ხანში შევიდნენ, დაუძლურდნენ, შემცირდა მათი რიცხვი. მონასტრების წინამძღვარნი ხშირად ეველრებოდნენ ხოლმე ევროპისა და ამერი-

კის ქვეყნებში ლტოლვილ ქართველ ემიგრანტებს – მოდით, უპატრონეთ აქაურობასაო, მაგრამ ყური არავინ ათხოვა. მხოლოდ პავლე ზაზაძე გახლდათ ამ სავანის მეთვალყურე, მზრუნველი, გარდაცვალებულთათვის მიწის მიმყრელი, მათი საფლავების პატრონი.

1956-1959 წლებში მძიმე დრო დაუდგა ქართველთა სავანეს. ქვეყანაში ატეხილმა ქარიშხალმა ამ სავანესაც გადაუარა. „შიშით სულ დაყვითლდნენ და დაავადმყოფდნენ მღვდელ-მონაზონნიო“ – იგონებდა პავლე ზაზაძე. მალე ყველანი დაიხოცნენ. ბოლო მღვდელი – პეტრე ტატალაშვილი, ჯერ კიდევ ჭარმაგი, იმ შიშიანობაზე ავად გახდა და ნაადრევად გარდაიცვალაო, – ამბობდნენ აქაურები. სწორედ ამ მძიმე დღეებში ნუგეშის მიმცემი გახლდათ პავლე ზაზაძე. 1966 წლისათვის ცოცხალი იყო მხოლოდ ეკლესია-მონასტრის მსახური პავლე აკობაშვილი (ადგულაძე). ეკლესია-მონასტრის არსებობას საფრთხე დაემუქრა. ამიტომ კათოლიკე-მრევლმა გადაწყვიტა შეექმნა კათოლიკეთა საზოგადოების ფონდი. 1966 წელს ფონდის თავმჯდომარედ აირჩიეს პავლე ზაზაძე, ეკლესია-მონასტრის გამგედ კი – პავლე აკობაშვილი (ადგულაძე).

ამიერიდან კიდევ უფრო გამოიკვეთა პავლე ზაზაძის, როგორც სტამბოლის ქართველთა სავანის ქომაგის, პიროვნება. იგი სიკვდილამდე – 1989 წლის აგვისტომდე – ერთგულად დარაჯობდა ქართველთა სავანეს, ზოგჯერ სიცოცხლის ფასადაც კი. ეს კარგად ახსოვთ სტამბოლელ ქართველებს.

პავლე ზაზაძე სტამბოლში შეძლებულ მოქალაქედ ითვლებოდა. კარგი ცოლ-შვილის პატრონს ამ წუთისოფელში თითქმის აღარაფერი აკლდა. თუმცა იგი საკმაოდ ტრაგიკული პიროვნება გახლდათ. მის ცისფერ მეოცნებე თვალებს კაეშანი ამუქებდა. მშობელი მიწის სითბოს დანატრებულს წუთისოფელის მიერ ნაბოძები ბედნიერება ნაკლებად იზიდავდა. მისთვის რომ გეკითხათ ახალციხის ცისკრის შემონათებას ანაცვალებდა მთელს თავის სიმდიდრეს, ოღონდ ერთხელაც ეხილა იგი მშობლიური სოფლის – უდეს გორებზე დილის სხივებში გაცოცხლებული... წელიწადი წელიწადს მისდევდა, ბოლშევიკურ საქართ-

ველოსა და თურქეთს შორის აღმართული ცივი კედელი სულ უფრო მიუკარებელი ხდებოდა. ხანდაზმულობაში კიდევ უფრო გაუძლიერდა ნოსტალგია, სამშობლოს მონასტრების გრძნობა. თვალცრემლიანი მოხუცი ხშირად უნახავთ მონასტრის ბაღში ახალციხიდან გადარგული ხეების ჩეროში მჯდომარე, მწარედ ჩაფიქრებული. ბავშვობის დროინდელ მთა-ბარს თუ ეფერებოდა იგი ოცნებით... საქართველოდან იშვიათად გამოჩენილ ვინმეს დიდი ინტერესით ეკითხებოდა სანატრელი მემლექეთის – სამშობლოს ამბებს. ხშირად იცოდა გახსენება რაფიელ ერისთავის სიტყვებისა – „როგორც უფალი, სამშობლოც, ერთია ქვეყანაზედა“.

1988 წელს სარფის კარის გახსნის ამბავი იმედის შუქად ჩაეფინა ჯანგატეხილ მოხუცს. სამშობლოს მონახულებას ესწრაფვოდა, მდინარე ფოცხოვის ნაპირებზე გაშლილი ჭალების ხილვას ნატრობდა, მშობლიურ უდეს არ სცილდებოდა მისი ფიქრები. 1989 წლის მაისში შევხვდი ბატონ პავლეს სტამბოლში „ჩვენებურების ქართულის“ პირველი ტომის მასალებზე მუშაობის დროს. მისგან ჩავიწერე სამშობლოს სიყვარულით გამთბარი მშვენიერი ტექსტი, მესხური ენობრივი ფორმებით შემკული. აი, ერთი მონაკვეთი ამ საუბრიდან:

„ჩვენ ვიყავით რვა ძმა. სამნი პატარა მოკვდნენ, ხუთი დავრჩით. მე აქ წამოვედი, ისტამბოლში სასწავლებლად, ოთხი უდეში დარჩა. ძმების სახელებია სტეფანე, ლევანი, ალიოზი, კაკულა.

მე პავლე ვარ, დედას ელისაბედი ერქვა, მამას – სიმონი... ახალციხე კარგა მახსოვს... ფირალოვის ბაღები მენატრება, ორი დიდი ბაღი იყო, ქვევით წყალთან ბევრი ქლიავი, ვაშლი, მსხალი, ნაირნაირი ხილი იყო, თესამდით ბევრ რამეს: კიტრი, საზამთრო, აყირო, სიმინდი ბევრი ნაირი. ზევითა ყანები იყო კარტოფილისა. პურის კალოები მახსოვს. ზაფხულში იაილაში დავდიოდით...“

პავლე ზაზაძის ნაამბობი მშობელი მხარის სიყვარულით სავსე გულის კარნახია, მასზე ოცნებით ნავარჯიშევი ფიქრის ნაყოფია, სიზმარში გაცხადებული სამშობლოს მოლანდებაა, იმის უტყუარი დასტურია, რომ ქართველ კაცს მშობელი მიწის გარეშე ნამდვილი ბედნიერება არსად უწერია. „საცა გინდ

ვიყო, მასთან ვარ მარად", – ჩურჩულებდა ხშირად თვალცრემლიანი მოხუცი და სიზმარში გაცხადებულ მშობლიურ სანახებს ნატრობდა:

„ფიქრებში ნავალ ბევრჯელა... დღეში რამდენჯერმე გადავალ და გადმოვალ საზღვარზე. მოვიარ საქართველოსა. მახსოვს სოფლის ტყეში ერთი დანგრეული ეკლესია იყო. დედას მივყავდი იქა და ვლოცულობდით. ტყეში რომ შეხვალ, ერთი წყარო შეგვხვდება. იმ წყაროს წყალი მწყურია ახლა... ბევრჯელ სიზმარშიც მესიზმრება. ამ ახლოხან დამესიზმრა ის წყარო, მაგრამ ვერ ვსვი, დაკეტილი იყო. დიდი ოქროებით იყო დაფარული წყლის ჭურჭელი-ავაზანი. წყლის გამოსაშვები ადგილი ოქროს ბოქლომით იყო დაკეტილი. ოქროები კარგი საქმეა, საქართველო სინათლეში გამოვა. მარა დაკეტილი რომ იყო და ვერ ვსვი, ეს არ დამწონდა. ესა საქართველსთვინაც არ ამბობს კარგსა... გვიან გამოვა საქართველო სინათლეში. მეც კარგს არ მიქადის ბედი. წყაროს წყალი რომ ვერ ვსვი, წყარო დაკეტილი რომ იყო, ალბათ აღარ არის ჩემი ყისმათი, აღარ მომესწრება მისი სმა... გადაწვეტილი მაქვს ამ წელიწადში შემოვიდე საქართველოში, სარფის კარიდამ. ზღვით წაველ ბათომიდამ, ხმელეთით მოვალ სარფიდამ... ყოველთვის დედა მარიამს ვეევედრები, მომასწროს სამშობლოს ნახვა... დიდი ხანია აღარ შემხვედრია ვინმე საქართველოდამ მოსული. რომ მნახეთ, ამაზე მადლობას მოგახსენებთ. ასე მგონია, თქვენ რომ გნახეთ, თქვენ რომ გული გაგიხსენით, საქართველო ვნახე თითქოს, სამშობლოს ვესაუბრე თითქოს... ღმერთმა გამშვიდობოთ, ღმერთს ებარებოდეთ თქვენცა და ჩვენი საქართველოცა!..."

მოხუცის სიზმარი სიმბოლური გამოდგა. 1989 წლის შემდეგ, მართლაც, ბევრი სიდუხჭირე გადაიტანა ჩვენმა სამშობლომ. დააგვიანდა საქართველოს სინათლეში გამოსვლა... მაგრამ, პავლე ზაზაძის სიზმრის მიხედვით, როგორც სოფელ უდეს ტყეში მდებარე წყარო იყო ოქროთი მოვარაყებული, გაბრწყინებული, გვჯერა, საქართველოს მომავალიც ისევე გაბრწყინდება და ასრულდება გულთმისანი მოხუცის ოცნება...

პავლე ზაზაძეს არ ეღირსა სამშობლოს ხილვა. 1989 წლის აგვისტოში მან სამუდამოდ დახუჭა სამშობლოს ნატერით ცრემლჩამდგარი თვალები. ვეღარ მოინახულა სიზმრებში გაცოცხლებული მშობლიური ადგილები, მამა-პაპათა საძვალე. მისი საფლავი გაითხარა სამცხე-ჯავახეთიდან სტამბოლში გადახვეწილი ათასობით კათოლიკე ქართველის საფლავების გვერდით. პავლე ზაზაძის ღვაწლის დასტურად კი დარჩა ფერიქოის ძველ უბანში მდებარე ქართველთა სავანეში, მისი ეკლესიის ერთ-ერთ შიდა კედელზე, მოთავსებული საპატიო დაფა – ტაძრის მღვდელმთავრების მოღვაწეობის მაუწყებელი. იგი გვამცნობს, რომ 1966-1989 წლებში სავანის მრევლის – კათოლიკეთა საზოგადოების თავმჯდომარე იყო პავლე ზაზაძე, სამშობლოს ღირსეული შვილი – ქართული საუნჯის ქომაგი, ჩვენი წინაპრების მიერ ნაგროვები საგანძურის ერთგული დარაჯი.

პავლე ზაზაძეს სიცოცხლის ბოლო პერიოდის მხილველები ასე იხსენებენ: ლოგინად ჩავარდნამდე ის თითქმის ყოველ დღეს მოდიოდა ტაძარში, ლოცულობდა, სანთლებს ანთებდა, დაობლებული, დაცარილებული მონასტრის კარებს კრძალვით შეაღებდა, მონაზონთა საცხოვრებელ ოთახებში შეიხედავდა, გაანიავებდა, ბიბლიოთეკაში ჩამოჯდებოდა თავის საყვარელ შვილიშვილთან პავლე (პოლ) ზაზაძესთან ერთად და საქართველოს შესახებ ესაუბრებოდა ხოლმე, ისტორიული სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობას აცოცხლებდა ახალგაზრდა შვილიშვილის გულში. ძველ წიგნებს გადაფურცლავდა, სულიერად გახალისდებოდა... შემდეგ კი მაღალი შენობის მესამე-მეოთხე სართულიდან ნაღვლიანი თვალებით გადახედავდა ფერიქოის ძველ უბანს, გაიხსენებდა წარსულის სურათებს. განსაკუთრებული სიყვარულით იგონებდა დამოუკიდებელი საქართველოს ემიგრაციაში წასული პირველი მთავრობის სტუმრობას. მათ ხომ ერთხანს უმასპინძლა ამ სავანემ... ოცნებით გაესაუბრებოდა ხელჯოხიანი ექვთიმე თაყაიშვილის სულს. ეამაყებოდა ისიც, რომ ექვთიმეს მსგავსად თვითონაც ერთგულად სდარაჯობდა უცხოეთში შენახულ ქართულ საუნჯეს. სიამაყით გადახედავდა ხოლმე ახალციხის სოფლებიდან ჩამოტანილი ხეხილის ნერგებით შემოსილ მონას-

ტრის ბაღს და მომავლის იმედს არ ჰკარგავდა. ბევრი ხე ბაღში ჯერაც ჭარმაგად იდგა, ბევრ ბებერ ხეს ყლორტები ამოეყარა და განახლებულიყო. სწორედ ეს აძლავდა ნუგეშს. სჯეროდა წუთისოფლის ბედის ტრიალი. სნამდა, ეს სავანეც ეღირსებოდა ახალ სიცოცხლეს, განახლებას...

შველას ელოდა საქართველოდან პავლე ზაზაძე სარფის კარის გახსნის შემდეგ. ეს იყო მისი ნუგეში... სანუგეშოს თავისი ოჯახიც აძლევდა. ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ ტაძრის ნამდვილ პატრონად თავისი შვილი – ბატონი სიმონ ზაზაძე ეგულებოდა. იმედი არ გაუმტყუნდა სამშობლოს სიყვარულში ჩაფერფლილ მოხუცს. ბატონი სიმონი, მართლაც, სავანის გულმხურვალე მზრუნველია, წინაპართა ტრადიციების გამგრძელებელია, საქართველოდან ჩასულთა გულითადი მასპინძელია, დიდი ქველმოქმედი და ჰუმანისტია.

1990 წლიდან საშვილიშვილო საქმე განაგრძო სიმონ ზაზაძემ, რომელიც ჭაბუკობიდანვე, მამასთან ერთად, ერთგულ დარაჯად ედგა თურქეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის საუკუნოვან სიმბოლოს – სტამბოლის ქართველთა სავანეს და მის მეტად მდიდარ ბიბლიოთეკას, სიძველეთსაცავს. აღსანიშნავია ისიც, რომ თითქმის მთელი 150 წლის მანძილზე ეს დაწესებულება – ქართველთა სავანე სტამბოლში ქრისტიან და მუსლიმ ქართველთა ძმობისა და მეგობრობის შესანიშნავი კერა იყო. დღეს სტამბოლის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში ლამაზად მოვლილი რომ დგას ქართველ კათოლიკეთა წმინდა ტაძარი, მისი ძვირფასი ბიბლიოთეკა ხელუხლებლად რომაა შენახული, ეს ბატონ სიმონ ზაზაძის დამსახურებაა. ამ ორმოციოდე წლის წინ სავანე სრულიად დაცარიელდა. მონასტერი და მონასტრის სასწავლებლები დაიხურა, ძველი შენობები დაინგრა. სიმონ ზაზაძეს რომ არ მიექცია ყურადღება მამა-პაპათა სალოცავებისათვის, ალბათ დღეს მთლიანად იქნებოდა წაშლილი ქართველთა კვალი ამ მიდამოებში. ღვთის შეწევნით, ერთი კარგი საქმე კიდევ გაკეთდა. სიმონ ზაზაძის ხელმძღვანელობით, ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, მონასტრის სასწავლებლის ადგილას აშენდა ცოდნის ახალი კერა, – ახალი სკოლა-ლიცეუმი – „ოზელ ბილგი კოლეჯი“.

სიმონ ზაზაძის ცხოვრების გზა მისაბაძი და სამაგალითოა. ამიტომაც ვცდილობთ თვალი გადაავლოთ მას:

სიმონ ზაზაძე ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ნიჭიერებით. სამი წლისა უკვე თავისუფლად ლაპარაკობდა სამ ენაზე – ქართულად, ფრანგულად, თურქულად. ოთხი წლისა უკვე კარგად კითხულობდა ფრანგულ და თურქულ გაზეთებს. ფრანგულსა და თურქულს ასწავლიდა დედა – მარი (მარიამი), ქართულს კი – შალვა ვარდიძე, ცნობილი სასულიერო მოღვაწე, შესანიშნავი პოეტი და მოაზროვნე. მონასტრის არქივში დაცულია 8 წლის სიმონ ზაზაძის ერთი პატარა ბარათი, რომლითაც იგი თავის მასწავლებელსა და ახლო ნათესავს (ძიას, როგორც თვითონ ეძახდა), მღვდელ შალვა ვარდიძეს ულოცავს დაბადების დღეს, 1941 წლის 14 ივნისს. ეს მისალოცი ბარათი გამთბარია სამშობლოს სიყარულით. მკითხველს ვთავაზობთ სრულ ტექსტს:

„14/VI, 1941.

პატივცემულო და საყვარელო მამაო შალვა!

მე ვარ პატარა ქართველი, მეც ვარ თქვენი მოწაფე და მეც მინდა მოგილოცოთ ჩემებურათ თქვენი დღეობა.

მე საქართველო ჯერ არ მინახავს, რომ მისი სიტურფე ჩემი თვალით შევისწავლო, რომ დედაენის სილამაზე ჩემი ყურით გავიგონო და გულამდინ ჩამიტკბეს. სამშობლოს სილამაზის სიყვარულს თქვენ მასწავლით, და იქნება ჯერაც ვერა ხართ ძალიან კმაყოფილი ჩემს სწავლაზედ. მაგრამ დამაცადეთ, ცოტა კიდევ გავიზარდო, დედ-მამასთან ერთად ჩვენი მშვენიერი საქართველო მოვიარო, ჩემი თვალითაც ვნახო, ჩემი გულითაც გავიგო, რასაც დღეს წიგნში მაკითხამთ. და მაშინ ნახავთ ჩემს ქართველობას, ჩემს ქართულ ლაპარაკსა და წერა-კითხვას, ჩემს მამულიშვილობას! თქვენი ეხლა დათესილი მაშინ გამოიღებს თავის ნაყოფსა და მდიდარ ნაყოფსაც. მაშინ იქნება ჩვენ ყველასათვის დიდი, დიდი დღეობა; და თქვენთვის, პატივცემულო და საყვარელო მამაო შალვა, ჩემი საუკეთესო და გულითადი მილოცვა და მადლობა თქვენგან მიღებული სწავლისა და სიკეთისათვის.

თქვენი ერთგული სიმონ ზაზაძე“

დედათა მონასტერს გახსნილი ჰქონდა ბავშვთა ბაღი. აქ დადიოდა პატარა სიმონი. იგი კარგად იგონებს მაშინდელ პირობებს: როგორ აჩვევდნენ წესრიგს, სიფაქიზეს, უფროს-უმცროსთა პატივისცემას, ზრდილობას, სისუფთავეს. ახსოვს აღმზრდელ-მასწავლებლები – მონაზვნები ქრისტინე პარმაქსიზიშვილი და თეკლა-მონაზონი. ეკლესია-მონასტრის ირგვლივ – უკან და წინა მხარეს – დიდი ყანები, ბაღები ჰქონდათ ქართველებს. ქათმები, ინდაურები, ბატები ჰყავდათ მონაზვნებსაო, – იგონებს ბატონი სიმონი, ხანდახან პატარა წიწილებს მჩუქნიდნენ ხოლმეო. მას ბავშვთა ბაღში აჩვევდნენ ღვთისმოყვარეობას, ღვთისმსახურებას, სიმართლის სიყვარულს.

ოთხი წლის სიმონი ბავშვთა ბაღიდან გერმანულ დაწყებით სკოლაში გადაუყვანიათ. მეორე მსოფლიო ომის წინ გერმანული სკოლა დაუხურავთ, ამიტომ ინგლისურ სკოლაში გაუგრძელებია სწავლა. ეს ყოფილა ლიცეუმი „რობერტ კოლეჯი". მას აქ წარჩინებით უსწავლია ყველა საგანი. ამ სკოლას დღემდე ბევრი აღარ ჰყოლია ბატონი სიმონისთანა ბეჯითი, მისაბაძი, აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლე. მაშინდელი კანონების თანახმად, ყველა მოსწავლე ვალდებული ყოფილა დაემთავრებინა თურქული ლიცეუმი, ამიტომ სიმონს ლიცეუმის პროგრამა კარგად მოუმზადებია, ექსტერნად ჩაუბარებია გამოცდები და წარჩინებით დაუმთავრებია თაქსიმის ლიცეუმი.

ბატონ სიმონს სტამბოლის უნივერსიტეტში წარჩინებით ჩაუბარებია მისაღები გამოცდები (40 შესაძლებელი ქულიდან 40-ივე მოუგროვებია) და ეკონომიკურ ფაკულტეტზე დაუწყია სწავლა. აქაც წარჩინებით უსწავლია, მაგრამ მისი სურვილი ექიმობა ყოფილა. ამიტომ დამატებით უსწავლია სტამბოლის უნივერსიტეტის საღამოს განყოფილების სამკურნალო ფაკულტეტზე. აქაც წარჩინებული მოსწრება ჰქონია. მამის დაჟინებული თხოვნით სამკურნალო ფაკულტეტი მიუტოვებია და ეკონომიკური დაუმთავრებია. შემდეგ კი ლონდონში წასულა დასაოსტატებლად. შესულა „London School"-ში, დაუცავს სადოქტორი დისერტაცია ეკონომიკურ საკითხებზე. მამას უნდოდა, საკუთარი წარმოება გაგვევითარებინა და თავიდანვე ამისთვის მამზადებდაო, –

იგონებს იგი. მათ ჰქონდათ საპნის, ტექსტილის, კოსმეტიკის წარმოება, ფაბრიკები. ამჟამად მათ ბაზაზე შექმნილია მსოფლიო მნიშვნელობის „ზაზა-ჰოლდინგი“.

ბატონი სიმონი ერთხანს სამეცნიერო საქმიანობით ყოფილა გატაცებული. ბეირუთის ინდურ უნივერსიტეტში ლექციებიც კი უკითხავს ეკონომიკურ ფაკულტეტზე, როგორც მოწვეულ ლექტორს. იქ ყოფნის დროს შეხვედრია ბეირუთელ ქალიშვილს, წარმოშობით ფინიკიელს, ჰუმანურსა და ზედმიწევნით ფაქიზ, სათნო, განათლებულ პიროვნებას ქლაუდე ინჯეას, რომელიც მისი მეუღლე გახდა. დღეს ქლაუდე (ქლოდ) ინჯეა ზაზაძის გვარს ატარებს; მისი მშობლები ბატონი სიმონის სიძის ნათესავები ყოფილან და სტამბოლში გადმოსულან საცხოვრებლად.

სიმონ ზაზაძეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურიც გაუვლია. აქაც მოწინავეთა რიგებში ყოფილა. უმსახურია ქალაქ თუზლაში. იგი გარნიზონის გენერლის თანაშემწე ყოფილა. ამერიკაში დაუმთავრებია ოფიცერთა უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი. ამ სფეროშიც მოუპოვებია სამეცნიერო ხარისხი.

სიმონ ზაზაძეს ნიჭიერება მუსიკის სფეროშიც გამოუვლენია. დაოსტატებულა ერთ მუსიკოს პროფესორთან. კარგად უკრავდა თურმე კლასიკურ მუსიკას ვიოლინოზე. ძალიან უყვარს მოცარტისა და პაგანინის მუსიკა. „5 წლიდან 17 წლამდე კარგად ვუკრავდი და ხშირად გამოვდიოდი ბავშვთა, მოსწავლეთა კონცერტებზე დიდი წარმატებითო“, – იგონებს ბატონი სიმონი. სიმონის დედა მუსიკის მოყვარული ქალბატონი გახლდათ და თავის შვილებს – სიმონსა და მის დას ანიტას – სწორედ მან ჩაუნერგა მუსიკის სიყვარული.

სიმონ ზაზაძის ნიჭიერება, შრომისმოყვარეობა ბავშვობიდანვე ყოფილა ცხადი. იგი ოთხნახევარი წლისა შესულა სკოლაში, დაწყებითი სკოლა კი რვანახევარი წლისას დაუმთავრებია წარჩინებით.

სიმონ ზაზაძე ნამდვილი პოლიგლოტია. თავისუფლად საუბრობს 9 ენაზე, სრულყოფილად ფლობს თურქულს, ფრანგულს, ინგლისურს, გერმანულს, ბერძნულს (ძველსა და ახალს), იტალიურს, ლათინურს, ესპანურს, ქართულს. 8 ენაზე თავისუფლად

წერს და კითხულობს. ცოტათი ქართული წერა დამავიწყდაო, – ჩივის.

სიმონ ზაზაძის ოჯახი საერთოდ გამორჩეულია ენების ცოდნით. შვილები და შვილიშვილები მას ჰბაძავენ ხოლმე, თითქმის ყველამ იცის 4-5 ენა.

ბატონ სიმონსა და ქალბატონ ქლაუდეას (ქლოდს) ჰყავთ სამი შვილი – ნათალი (ნატალია), პაულა და პავლე (პოლი). პავლე ბაბუის სეხნიაა, ისევე როგორც ბატონი სიმონი.

ნათალი ზაზაძე იურისტია. მან შვეიცარიაში მიიღო უმაღლესი იურიდიული განათლება (Universite de Tribourg). სწავლობს ქართულს, უყვარს საქართველო. მისი მეულღე სტამბოლელი ბერძენია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აქსფენდიოს ქალანგოსი. ცხოვრობენ ჟენევაში, ჰყავთ ორი ვაჟი – კონსტანტინე და ალექსანდრე. სიძე – ქალანგოსი არის ჟენევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის კლინიკური საავადმყოფოს დირექტორი, მსოფლიო ჰუმანიტარული საზოგადოების პრეზიდენტი.

პაულა ზაზაძე მამის პროფესიას გაჰყვა. დაამთავრა HEC (Haute Etudes Commerciales) Lausanne, შემდეგ Harvard Businesschool, Boston. ძალიან განათლებული ქალბატონია, უყვარს საქართველო და ხშირად სტუმრობს კიდეც.

პავლე (პოლ) ზაზაძეც მამის კვალს გაჰყვა. დაამთავრა სტამბოლში გამორჩეული „რობერტ კოლეჯი“ (Robert College). შემდეგ რამდენიმე სხვა პრესტიჟული სასწავლებელი, საბოლოოდ კი – ჰარვარდის უნივერსიტეტი.

ქალბატონი ქლაუდე (ქლოდ) ინჯეა-ზაზაძეც ძალიან განათლებული პიროვნება გახლავთ. მან დაამთავრა წმ. იოსების სახელობის უნივერსიტეტი ბეირუთში (Des Sciences Politiques, (Universite St. Joseph Beyrouth Sciense Economicus et Politiques). იცის 5 ენა – არაბული, თურქული და სამიც ევროპული. მეტად სათნო და კეთილი ქალბატონია, ჭეშმარიტი მორწმუნე, ღვთისმოყვარე, უაღრესად პატიოსანი და გულკეთილი, დიდი ქველმოქმედი.

ზაზაძეების შესანიშნავი ოჯახი სახელგანთქმულია არა მარტო თურქეთში, არამედ ევროპის წამყვან ქვეყნებში და

საქართველოშიც. ბატონი სიმონ ზაზაძე ინტერესით ადევნებს თვალყურს საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებს. აღელვებს საქართველოში შექმნილი სოციალური გარემო. სწორედ მისი თხოვნით, თბილისი საყვარელ ქალაქად გაიხადა მსოფლიოში ცნობილმა კარდიოქირურგმა, წარმოშობით სტამბოლელმა, პროფესორმა აქსფენდიოს ქალანგოსმა, შვეიცარიის მოქალაქემ, სიმონ ზაზაძის სიძემ. სწორედ ზაზაძეების ოჯახის დაინტერესებით განხორციელდა თბილისში, კ. ერისთავის სახელობის ქირურგიის ეროვნულ ცენტრში კარდიოქირურგიის კლინიკის – „ღია გულის“ გახნა. აქსფენდიოს ქალანგოსი არის შვეიცარიაში შექმნილი საერთაშორისო ჰუმანიტარული ასოციაციის – „გული ყველასათვის“ პრეზიდენტი, ჟენევის უნივერსიტეტის გულის სისხლძარღვთა ქირურგიის კლინიკის ხელმძღვანელი. იგი წელიწადში რამდენიმეჯერ ჩამოდის თბილისში და სრულიად უსასყიდლოდ უკეთებს ურთულეს ოპერაციებს ხელმოკლე მშობლების გულით ავადმყოფ ბავშვებს.

კლინიკაში გახსნილია სიმონ ზაზაძის მშობლების – პავლე და მარიამ ზაზაძეების სახელობის კაბინეტი. მოხუცებს თურმე სიზმარ-ცხადში ელანდებოდათ სამშობლოს სურათები და ხშირად საუბრობდნენ საქართველოზე. მათი საუბრებით შთაგონებულმა შვეიცარიელმა პროფეროსმა სწორედ საქართველოში ისურვა აღნიშნული კლინიკის გახსნა. ეს დიდი მადლი ისევ სტამბოლის სავანიდან აშუქებს დღევანდელ საქართველოს, რადგან პავლე და მარიამ ზაზაძეები სტამბოლის ქართულ მონასტერთან არსებული სკოლების მოსწავლეები იყვნენ. იქ ჩაენერგათ მათ სამშობლოს სიყვარულის გრძობა. ნატალი ზაზაძის მეუღლე – აქსფენდიოს ქალანგოსი არის მსოფლიო პატრიარქის მკურნალი ექიმი. იგი ახლოს იცნობს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს და ხშირად სტუმრობს ხოლმე მას.

ზაზაძეების ოჯახი გამოირჩევა ღვთის სიყვარულითა და ღვისმსახურებით. ბატონი სიმონი ყოველ დილით შეივლის ხოლმე ქართველთა ეკლესიაში, აანთებს სანთლებს, ილოცებს და სამსახურში ისე მიდის. ფაქტობრივად იგი არის ქართველ

კათოლიკეთა ეკლესიისა და მონასტრის ნამდვილი პატრონი, ერთგული დარაჯი, უმღვდლოდ და უმონაზვნოდ დარჩენილი ეკლესია-მონასტრის ქომაგი. ღვთისმსახურებით გამოირჩევა ქალბატონი ქლაუდეაც. მათი ღვაწლი ამ მხრივ კარგად შეუფასებია ვატიკანს – ზაზაძეების ოჯახის წევრები ვატიკანის კომენდატორები არიან.

ბატონ სიმონ ზაზაძეს როგორც თურქეთის, ისე სხვა ქვეყნების მთავრობებისაგან მიღებული აქვს სათანადო ჯილდოები, რადგან ფაბრიკებს კარგად ამუშავებს, იქ მომუშავე ადამიანების შრომას დიდად აფასებს, მუშახელს უქმნის ნორმალურ სამუშაო პირობებს, კეთილსინდისიერად იხდის გადასახადებს. ბატონი სიმონი ფაბრიკებს ფლობს ბულგარეთშიც, საფრანგეთშიც, ერაყშიც. ყველგან დიდი სიყვარულით ხვდებიან ბატონ სიმონს ხელისუფლების წარმომადგენლებიცა და მშრომელი ადამიანებიც.

სიმონ ზაზაძე ერთგულად აგრძელებს მამის საქმეს, წინაპართა ტრადიციებს. მას მშობლებისაგან მოსდგამს ძვირფასი ადამიანური თვისებები. მშობლები მკაცრად ზრდიდნენ მას, აჩვევდნენ ცხოვრებისეულ სიძნელეებს. იგი განსაკუთრებით დავალებულია მამისაგან, მისგან ბევრი რამ უსწავლია. მათ შორის უმთავრესად ასახელებს სიმართლისმოყვარეობას, სიცრუის სიძულვილს. „მამა მეტყოდა: – ტყუილი არ თქვა! ამ თითს ხედავ? – მაჩვენებდა ხოლმე საჩვენებელ თითს. როგორც ამ თითის უკან ვერ დაიმალები, ისე ტყუილსაც ვერ გაექცევი, გამტყუნდები, სირცხვილს ჭამ, შერცხვებიო“, – იგონებს ბატონი სიმონი. „მამა ძალიან გონიერი, მოხერხებული, გამბედავი, სიმართლისმოყვარე, თავაზიანი, წესრიგიანი, შრომისმოყვარე, ნამდვილი ქართველი იყოო“, – იგონებს ხშირად. მას სამუშაო მაგიდის მოპირდაპირე მხარეს მამის სურათი უკიდია. იქიდან ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი უცქერის. მისი თვალები, შთამბეჭდავი გამოხედვა, ნუგეშს, იმედს აძლევს ბატონ სიმონს, თითქოს მომავლის გზას უჩვენებს. „მამა ჩემთვის ყველაზე ძვირფასი მაგალითი, ყველაზე კარგი გაკვეთილი იყო. ბევრი იმუშავე, ცოტა ილაპარკეო, – მეტყოდა მამაჩემი“, – ამბობს ხშირად.

როგორც ჩანს, ბატონი სიმონის მამა, პავლე ზაზაძე, ყველაზე წინ სამშობლოს სიყვარულს აყენებდა, მისთვის ზრუნავდა უხმაუროდ, უჩუმრად. სწორედ ეს თვისება აუღია მამისაგან ბატონ სიმონს. უჩუმრად უკეთებია და აკეთებს დღესაც ორი ქვეყნის მეგობრობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობისათვის გამიზნულ საქმეს. ქართველ ხალხს არ დაუკარგა წინაპართა დანატოვარი – სტამბოლის ქართველთა სავანე, რომელიც სტამბოლის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანშია და რამდენიმე ჰექტარ მიწაზეა გაშლილი. სურს, რომ ეს ადგილი მომავალში გადაიქცეს თურქი და ქართველი ხალხების მეგობრობის, კულტურული ურთიერთობის თვალსაჩინო კერად.

ბატონი სიმონი დაკავშირებულია ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში მცხოვრებ ემიგრანტ ქართველებთან. იგი ქართული კულტურის მოამაგე და ქომაგია არამარტო სტამბოლში, არამედ მისი მზრუნველი ხელი სწვდებოდა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში ემიგრანტ ქართველთა მიერ დაარსებულ კულტურის კერებსაც და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა ფინანსურად. მეგობრობდა ნინო და კალისტრატე სალიებთან, გივი ზალდასტანიშვილთან, ჯონ მალხაზ შალიკაშვილთან და სხვებთან. წლების განმავლობაში აფინანსებდა „ბედი ქართლისას" ფრანგულენოვან ნომრებს (1962-1982 წწ.).

მონასტრის არქივში დაცულ ნინო სალიას 1964 წლის 21 მაისს დაწერილ ბარათში, რომელიც პარიზიდანაა გაგზავნილი სტამბოლის ქართველთა სავანეში, პავლე ადგულაძის (აკობაშვილის) მისამართზე, ვკითხულობთ: „თქვენს კეთილშობილურ და დიდად პატრიოტულ მოქმედებაზედ და საქციელზედ ბევრი რამ გაგვიგონია... სიმონი ახალგაზრდა ქართველი პატრიოტია. მასში ძლიერი ქართული სული აღმოჩნდა და კრებულს (იგულისხმება ჟურნალი „ბედი ქართლისა" – შ. ფ.) ეხმარება, რაც დიდად დაფასებული არის და იქნება. მომავალშიც ქართველი ერი მადლობას ეტყვის..."

მამა-შვილი, პავლე და სიმონ ზაზაძეები, ეხმარებოდნენ საზღვარგარეთ არსებულ სხვა პერიოდულ გამოცემებსაც – „კავკასიონი", „პრომეთე", „გუშაგი", „საქართველოს გუშაგი", „თეთრი

გიორგი", „თავისუფალი საქართველო", „საქართველო" და სხვ. სიმონ ზაზაძე ფინანსურად ხშირად ეხმარება აგრეთვე სტამბოლში გამომავალ ჟურნალებს – „ჩვენებურსა" და „ფიროსმანს".

თუკი ბატონი პავლე მწარე მოგონებებით იმსუბუქებდა სამშობლოს მონასტრების გრძნობას, ტკბილად იხსენებდა ბავშვობას, მშობლიური უდეს სანახებს და ვერ ახერხებდა სამშობლოს მონახულებას, ბატონი სიმონი საქართველოს სანახავად ჰპოულობს დროს და ხანდახან სტუმრობს ხოლმე თბილისს. მას 2006 წლის გაზაფხულზე აუსრულდა ერთი დიდი ნატვრა – ესტუმრა მამის მშობლიურ სოფელ უდეს. მოინახულა ის მიდამოები, სადაც ბავშვობა გაატარა მისმა მამამ. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალციხეში სტუმრობის დროს ახალციხის უნივერსიტეტმა იგი აირჩია საპატიო დოქტორად, ხოლო ახალციხის მხარემ – საპატიო მოქალაქედ. ბატონი სიმონის სტუმრობა ახალციხეში გადაიქცა საერთო-სახალხო ზეიმად. ახალციხის მუზეუმში გაიხსნა სტამბოლში მოღვაწე ქართველებისადმი მიძღვნილი სპეციალური განყოფილება. აქ დაიდო ბინა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და მეცნიერების – პეტრე ხარისჭირაშვილის, მიხეილ თამარაშვილის, მიქელ თარხნიშვილის, პეტრე მერაბიშვილის, შალვა ვარდიძისა და სხვათა მოღვაწეობის ამსახველმა ფოტოგამოფენამ.

ბატონ სიმონ ზაზაძეს გადაწყვეტილი აქვს, თურქეთ-საქართველოს კულტურისა და განათლების ფონდის მხარდაჭერით, შექმნას თურქეთ-საქართველოს კულტურისა და განათლების ცენტრი, რომელიც განთავსდება ჩვენი დიდი წინაპრების მიერ დანატოვარ მიწაზე – ფერიქოის ქართველთა სავანეში. ამას გარდა, სურს გახსნას თანამედროვე ტიპის ბიბლიოთეკა. ფონდთან ერთად იღვწის დააარსოს უნივერისტეტი, სადაც იმუშავებს ქართული განყოფილებაც. „ეს ადგილი უნდა გავაცოცხლოთ ორი მეზობელი ხალხის მეგობრობის სიმბოლოდ" – აცხადებს იგი და ელოდება გამოხმაურებას საქართველოდან.

ბატონ სიმონს უყვარს ბავშვები. მან ქალბატონ ქლაუდეა (ქლოდ) ზაზაძესთან ერთად 1968 წელს გახსნა კერძო ლიციუმი – „ოზელ ბილგი კოლეჯი", რომელიც სტამბოლში ერთ-ერთი

გამორჩეული სასწავლებელია. აქ გამეფებული დისციპლინა, სწავლების ხარისხი, თანამშრომელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება სამაგალითოა.

ბატონ სიმონს ყოველგვარ საქმეში მხარში უდგას ვაჟი – პავლე ზაზაძე – ახალგაზრდა, ნიჭიერი, ზრდილი, ინტელიგენტი. სამომავლოდ, საშვილიშვილო საქმის საიმედოდ, სწორედ ბატონი პავლე გვეგულება ყველას. დარწმუნებული ვართ, მისი გულისხმიერებით, სტამბოლის ამ უბანში მომავალში კვლავაც შენარჩუნდება „პატარა საქართველოს" თბილი კერა, რომელიც კიდევ უფრო მეტად მოემსახურება თურქეთ-საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებას. ბატონ პავლეს ძალიან უყვარს ქართული კულტურა, საქართველო და ოცნებობს იმ დღეზე, როცა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიას საქართველოდან მოევლინება ქართველი მღვდელი და გააცოცხლებს ქართული კულტურის გაციებულ კერას.

პავლე ზაზაძე ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. ამავე დარგში დაოსტატდა და უმაღლესი სამეცნიერო ხარისხიც მიიღო. მამასთან ერთად წარმართავს საერთაშორისო კორპორაციის – „ზაზა ჰოლდინგის" საქმიანობას. მას ძალიან უყვარს მუსიკა და სპორტი. არის წყალში თხილამურებით სრიალში თურქეთის ჩემპიონი. რამდენიმე წლის წინ იგი მონაწილეობდა ფოთთან ახლოს, ყულევში გამართულ საერთაშორისო ჩემპიონატში და საკმაო წარმატება მოიპოვა. იგი ფლობს 6 უცხო ენას, სწავლობს ქართულს, იმედის თვალით უყურებს მომავალს და სჯერა, რომ თურქეთ-საქართველოს კულტურისა და განათლების ფონდი, თურქეთისა და საქართველოს მთავრობების მხარდაჭერითა და თანადგომით, წინაპრების მიერ სტამბოლში დანატოვარ ერთ ლამაზ უბანში მდებარე მიწაზე შეძლებს თურქეთ-საქართველოს კულტურისა და განათლების ახალი კერის დაფუძნებას.

ეს კერა კი იქნება სტამბოლის ქართველთა სავანეში მთელი ასოცი წლის მანძილზე არსებული ჯანსაღი ტრადიციების გამგრძელებელი, თურქეთში მცხოვრები მილიონობით ქართვე-

ლის სულიერების ტაძარი, მათი კულტურული მიღწევების პოპულარიზატორი. სწამს, რომ ეს ახალი კერა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს თურქი და ქართველი ხალხის კეთილმეზობლური, მეგობრული, კულტურული ურთიერთობის შემდგომ წინსვლას. ეს კი იქნება დიდი ბაბუის ნაოცნებარის განხორციელება. ამიტომაც ამბობს ბატონი პაველ: „აქამდე ჩვენ, ზაზაძეებმა, სხვებთან ერთად, ვწიეთ უღელი თურქი და ქართველი ხალხის მეგობრობისა. მამა მოხუცდა, მე მარტოს გამიჭირდება მომავალში ამ უღლის ტარება. ცალუღელას ნუ დამტოვებთ, ძმებო. თქვენგან თანადგომას ველოდები".

თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ მილიონობით ქართველთა შორის, ხალხთა შორის მეგობრობაში, სამშობლოს სიყვარულში, ქართული კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-შენახვის საქმეში გამოჩენილ გულისხმიერებაში, ზაზაძეებს ბადალი არა ჰყავთ. ეს გარკვეულად დაფასდა დედასამშობლოს მხრიდან. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მამა-შვილი სიმონ და პაველ ზაზაძეები 2007 წლის ოქტომბერში, ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

ბატონი სიმონ ზაზაძე ოპტიმისტურადაა განწყობილი, სწამს საქართველოს ნათელი მომავლისა. „ქართველი ხალხის გონიერება და შრომისმოყვარეობა გადაარჩენს საქართველოს... ჩვენი სამშობლო სულ მალე შვეიცარიასავით იქნება, ყველა ქართველს უნდა სჯეროდეს ეს. ყველამ უნდა იზრუნოს დღენიადაგ ამისათვის. ხალხის სურვილს წინ ვერაფერი აღუდგებაო" – ამბობს ბატონი სიმონი.

* * *

მონასტრის ბიბლიოთეკაში ინახება „შთაბეჭდილებათა წიგნი“, რომელიც ერთგვარი მატიანეა სტამბოლის ქართული სავანის საუკუნოვანი საქმიანობისა, საქართველოს ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში აქაური სასულიერო პირების მიერ გაწეული ფასდაუდებელი ღვაწლისა.

ამ სავანეს ბევრი სახელოვანი ქართველი სწვევია სტუმრად და თავისი შთაბეჭდილება გადმოუცია მომავალი თაობებისათვის. მათი სიტყვებით გაცოცხლებული სავანე ასე წარმოჩინდა: „ამ ძველებურ ქართულ მონასტერში ყველაფერი საყვარელ საქართველოს მოგვაგონებს“... „ზნეობრივი სისპეტაკე და სამშობლოს სიყვარული უხვად შლის თავის სხივებს ამ მონასტერში“... „საქართველოს დიდება, ეროვნული სულის საუნჯე, სამშობლოსათვის დევნილ ნამდვილ მამულიშვილთა თავშესაფარი“... „ქართული კულტურის სამოთხის კუთხე უცხოეთში“... „კონსტანტინეპოლში ქართველთა სულიერი და კულტურული თავშესაფარი“... „ქართველი ემიგრანტების ერთადერთი თავსაყუდელი“... „საქართველოს წმიდა სავანე, წმიდა ტაძარი“... „საქართველოს ლამპარი უცხოეთში“... „სიმბოლო ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა“... „შუქურ ვარსკვლავივით მანათობელი უცხოეთში“... „შორეულ სტამბოლში ვარსკვლავი საქართველოსი“... „საქართველოს კუთხე ოსმალეთში“..., „ოსმალეთის ზღვა უდაბნოში ჩანერგილი საქართველოს ოაზისი“...

„შთაბეჭდილებათა წიგნი“ ინახავს ჩვენი სახელოვანი მამულიშვილების ჩანაწერებს, შთაბეჭდილებებს, ავტოგრაფებს. სტამბოლის ქართულ სავანეს ბევრი სტუმარი ჰყოლია: ალექსანდრე ცაგარელი, ივანე ჯავახიშვილი, წმ. ათონის მღვდელ-მონაზონი ილია, გელათელი ნიკოლოზ არქიმანდრიტი, ევგენი გეგეჭკორი, ვიქტორ ნოზაძე, მიხაკო წერეთელი, გრიგოლ დიასამიძე, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ყაუხჩიშვილი, გიორგი ყაზბეგი, გრიგოლ რობაქიძე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II...

ზოგიერთი სტუმრის ჩანაწერს შემოგთავაზებთ სრულად:

„1918 წელში ტანჯული და წამებულნი ოსმალეთის ტყვეობაში მოვედით მშვენიერ საქართველოს პატარა კუთხეს კონსტანტინეპოლში. მაშინ ამოვისუნთქეთ თავისუფლად და ვადიდეთ ჯერ უფალი და მერმეთ ჩვენი სამშობლო. ქართული მონასტრის წმ. მამებმა დაგვიმტკიცეს, რა შეუძლია მორწმუნე და კაცთმოყვარე ქართველის გულს. იყავ დიდებული, ივერიის წარმომადგენელო ქართულო ეკლესიავ ფერიქოიში და აყვავდი ქართული ენის დიდებითა და წმიდა მოძღვრებით... – ქართველი ცხენოსანი რაზმის მესამე ასეულის-უფროსი, შტაბის როტმისტრი – ილიკო დოლიძე; ოსმალეთში ტყვედ ნამყოფი, ქართული კავალერიის პოლკის ოფიცერი, პორუჩიკი ირაკლი თუხარელი, 18 ივნისი, 1918 წელი“.

„გული სიხარულით მევსება, როდესაც ამ პატარა საქართველოს კუნძულში, ქართველთა მონასტერში, საქართველოსა და ქართველი ერისადმი უანგარო, ღრმა სიყვარულსა ვგრძნობ, – ივანე ჯავახიშვილი, იოსებ გოგოლაშვილი, 16 თებერვალი, 1919 წელი“.

„1919 წლის 16 მარტს ვნახეთ ქართველ კათოლიკეთა მონასტერი და აღტაცებულნი დავრჩით იმ მზრუნველი სიყვარულის გრძნობით, რომელიც გამოსჭვივის მონასტრის კუთვნილ ყოველ წვრილმანში. – საქართველოს სამშვიდობო დელაგაციის თავმჯდომარის მოადგილე – გრიგოლ რცხილაძე, წევრები: ილია ოდიშელიძე, გ. ნაზარაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ავქსენტი გვათუა, იოსებ გობეჩია, ვლასა მგელაძე, ილია ნაკაშიძე, ანდრია დეკანოზიშვილი.

„კიდევ ვიხილე სიამოვნებით შორეულ უცხოეთში საქართველოს პატარა კუნჭული, მის ერთგულ შვილთა წრფელის გრძნობით გაბრწყინებული. გული უსაზღვრო იმედს გრძნობს – რომ ვერავითარი უკეთური და უხეში ძალა ველარ მოსპობს აქ იმას, რაც უკვე ასე მედგრად დამკვიდრებულა! გაუმარჯოს ძლიერი საქართველოს პატარა, მაგრამ სულით გამძლე და გრძნობით კლდე მომუშავეთა ჯგუფს! ვახტანგ ღამბაშიძე, 16 მარტი, 1919 წლის“.

„ამა ათასცხრაას ცხრამეტსა წელსა, დღესა ოცდარვა მაისს გავხდი ბედნიერი და ვინახულე ქართველთ კათოლიკეთა მონასტერი კონსტანტინეპოლში, სადაც მოვიპოვე სულის სიმშვიდე და დამტკბარი აქაური სანახაობით და მიღებით აქაური ჩვენი ღვიძლი ძმების მიერ; ვბრუნდები საქართველოში იმ ნეტარი გრძნობით, რომ გადავცე მათ მოძმე-მონათესავთ მათი ეგეთი სიყვარული სამშობლოსადმი, გარჯილობა ჩვენი წმინდა სარწმუნოების, ზნე-ჩვეულებისა და ადათის პატრონობა-შენახვაში და, ამასთანავე, თავის პატარა ერის თავისუფლებისა და კეთილდღეობის მსახურებაში. დიდს მადლობას გიძღვნით, სასახელო მამებო და ძმებო; ვეღრი უფალს თქვენს მრავალჟამიერ სიცოცხლეს ჩვენი ერის საკეთილდღეოდ. – თქვენი თაყვანისმცემელი და მოყვარული თავადი მიხეილ ფალავა“.

„თქვენი თავდადებული და დაუღალავი მუშაობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღორძინებაში უკვდავი იქნება ჩვენს ისტორიაში. ჭირში და ლხინში თქვენთან ერთად! გიორგი მაჩაბელი. კონსტანტინეპოლი, 23 აპრილი, 1919 წელი“.

„ვიხილე რა საქართველოს კუთხე უცხოეთში, სულითა და გულით ვგრძნობ ჩემს თავს საქართველოში. გაუმარჯოს ამისთანა საქართველოსთვინ მოღვაწე მოძმეებს! – იაზონ ბაქრაძე, ი. ლომოური, ევგენი დალეჯიო-დალესიო. 17 აგვისტო, 1919 წელი“.

„1919 წელს 29 სექტემბერს პირველად დიდი ხნის შემდეგ ვიგულე ჩემი თავი საქართველოს კუთხეში. ციმბირის ქართველების დავალებით, განვლე ნახევარ დედამიწის ზურგი, რათა გულის ძგერა ჩამეტენა სამშობლოში. ორთვენახევარი დავყე გზაში, მაგრამ არსად არ უგრძვნია გულს ისეთი სიხარული, როგორიც ვიგრძენ აქ, ქართველ ძმათა სამლოცველოში. აქ ვიგრძენ ძალა მათი სულიერი რწმენისა და მით აღტაცებული რწმენა საქართველოს დიდებისა უფრო გამიმაგრა გულში. ციმბირის ქართველთა წარმომადგენელი – დათიკო ივანეს ძე როსტომაშვილი“.

„უამსა მას, როდესაც ბერძნებმა დაგვარბიეს და აგვაწიოკეს ათონის მთაზე და მოვდიოდით სავედრებლად კონსტანტინეპოლსა და საქართველოში, მოვიწიე მონასტერსა ამას ქართველთასა და მისტუმრეს დიდითა პატივითა, რომლისათვის დიდ მადლობას ვუხდი მამა პიო ბალიძეს, ამ მონასტრის წინამძღვარს და სხვა ყველა მამებს, ღმერთმან გადაუხადენ ასწილად. – ძველ ათონის მონაზონთა რწმუნებული მღვდელმონაზონი ილია, 1920 წელი, 2 იანვარი“.

„ამოუშლელი დარჩება ჩვენს ხსოვნაში 14 იანვარი 1920 წლისა იმ ბრწყინვალე და გულწრფელობით სავსე დღესასწაულის – ნინოობის მოწყობის გამო, რომელიც ოსმალეთის ზღვა უდაბნოში ჩანერგილმა საქართველოს ოაზისმა გვიჩვენა. – საქართველოს წარმომადგენელი კონსტანტინეპოლში გრიგოლ რცხილაძე“.

„სამშობლოს გარეთ დანთებული ეს წმინდა კელაპტარი ქართველ მამათა ხელით აღმოუშლელ შუქსა სტოვებს ჩემს გულში – ლევ. მეტრეველი, 1920 წლის მაისის 2“.

